International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 5, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/ZAWJ3075

Main Determinative Factors of the System of International Relations and World order and their Reflection on the Modern Reality

Nika Chitadze [1]
Doctor of Geography, Professor
International Black Sea University

A B S T R A C T

The main task of the study is to determine the principles of the international system and world order and to conduct a detailed analysis of what constitutes the system of international relations and the main principles of world order, which main systems exist and what types of world order existed from the middle of the 17th century to the present day.

The paper presents a comparative analysis of various systems and world orders. In particular, what are the main characteristics of a unipolar, bipolar, and multipolar world, and what are the differences between them? Additionally, when discussing world order, what are the characteristics of the Westphalian, Vienna, Versailles-Washington, and Yalta-Potsdam world orders, and what international system and world order can we discuss in the modern period? Accordingly, the paper discusses the modern system of international relations and the opinions of leading specialists in international relations in relation to modern international relations, etc.

The topic also discusses the issue related to the diversity of political actors, in particular, the characterization of large, medium, and small countries and their role in world politics is presented, as well as the factors of various transnational actors in international relations.

A significant part of the study is devoted to possible models of the world political order in the 21st century, among which the model of US world hegemony is discussed, which is based on US dominance in the economic, financial, technological, military, and commercial spheres. Then, the bipolar model of the world is discussed, according to which, based on the mentioned structure, there are two centers of global influence in the world, characterized by a confrontation between two leading countries and their allies. As for the multipolar model of the world, this model is based on the balance of power.

The discussion of the polycivilizational model is very interesting. The analysis of the main characteristics of this model is related to the parallel existence of seven civilizations. These civilizations are Western, Latin American, Islamic, Slavic-Orthodox, Chinese (Confucian), Japanese (Shinto), and African. As we can see, at the beginning of the 21st century, global conflicts are taking place within the framework of the confrontation between these civilizations, one example of which is the Russian-Ukrainian war, which is not only an interstate war, but in this case, in addition to the confrontation between Russia and Ukraine, there is a confrontation, first of all, between the global West and Russia,

[1] nika.chitadze@ciu.edu.ge

although to some extent the BRICS member states appear on the side of Russia, which represent different civilizations on their side, although the common interest of all of them is the confrontation with Western civilization.
The last part of the work is devoted to the discussion of the modern international system and world order, where the opinion about the existence of a quadripolar world is presented.

Keywords: *System of international relations, World order, Unipolar world, Bipolar world, Multipolar world.*

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის და მსოფლიო წესრიგის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები და მათი ასახვა თანამედროვე რეალობაზე

ნიკა ჩიტაძე
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

კვლევის მთავარი ამოცანაა საერთაშორისო სისტემის და მსოფლიო წესრიგის პრინციპების განსაზღვრა და იმის დეტალური ანალიზი, თუ რა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას და მსოფლიო წესრიგის ძირითად პრინციპებს, რომელი ძირითადი სისტემები არსებობს და რა ტიპის მსოფლიო წესრიგი არსებობდა მე-17 საუკუნის შუა პერიოდიდან თანამედროვე დრომდე.

ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა სისტემისა და მსოფლიო წესრიგის შედარებითი ანალიზი. კერძოდ, თუ რომელია ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი და მრავალპოლუსიანი სამყაროს ძირითადი მახასიათებელები და რა განსხვავებები არსებობს მათ შორის. ასევე, მსოფლიო წესრიგის განხილვისას, რითი ხასიათდება ვესტფალიის, ვენის, ვერსალ-ვაშინგტონის და იალტა - პოსტსდამის მსოფლიო წესრიგი და რომელ საერთაშორისო სისტემაზე და მსოფლიო წესრიგზე შეიძლება ვისაუბროთ თანამედროვე პერიოდში. შესაბამისად, ნაშრომში განხილულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემა და საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სპეციალისტების მოსაზრებები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში და ა.შ.

თემაში ასევე განხილულია საკითხი, რომელიც უკავშირდება პოლიტიკური აქტორების მრავალფეროვნებას, კერძოდ, წარმოდგენილია დიდი, საშუალო და პატარა ქვეყნების დახასიათება და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში, ასევე სხვადასხვა ტრანსნაციონალური აქტორების ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა 21-ე საუკუნეში არსებულ მსოფლიო პოლიტიკური მოწყობის შესაძლო მოდელებს, რომელთა შორის განხილულია აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონიის მოდელი, რომელიც ეფუძნება აშშ-ის დომინირებას ეკონომიკურ, ფინანსურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო და კომერციულ სფეროებში. შემდეგ განხილულია მსოფლიოს ბიპოლარული მოდელი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში აღნიშნული სტრუქტურის მიხედვით არსებობს გლობალური გავლენის ორი ცენტრი, სადაც ორ ლიდერ ქვეყანას და მათ მოკავშირეებს შორის დაპირისპირებას აქვს ადგილი. რაც შეეხება მსოფლიოს მრავალპოლარული მოდელს, აღნიშნული მოდელი ძალთა ბალანსზეა დაფუძნებული.

ძალზედ საინტერესოა პოლიცივილიზაციური მოდელის განხილვა. აღნიშნული მოდელის ძირითადი მახასიათებლების ანალიზი შვიდი ცივილიზაციის პარალელურ არსებობასთანაა დაკავშირებული. ეს ცივილიზაციებია - დასავლური, ლათინოამერიკული, ისლამური, სლავურ-მართლმადიდებლური, ჩინური (კონფუციანური), იაპონური (სინთოისტური), აფრიკული. როგორც ვხედავთ, 21-ე საუკუნის დასაწყისში გლობალური კონფლიქტები მოცემულ ცივილიზაციებს შორის დაპირისპირების ფარგლებში მიმდინარეობს, რომლის ერთ-ერთ მაგალითად შესაძლოა რუსეთ-უკრაინის ომი მივიჩნიოთ, რომელიც არ გახლავთ მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ომი, არამედ მოცემულ შემთხვევაში რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირების გარდა არსებობს დაპირისპირება პირველ რიგში გლობალურ დასავლეთს და რუსეთს შორის, თუმცა რუსეთის მხარეს გარკვეულწილად ბრიქსის წევრი სახელმწიფოები გვევლინებიან, რომლებიც თავის მხარივ სხვადასხვა ცივილიზაციებს წარმოადგენენ, თუმცა ყველა მათგანის საერთო ინტერესს დასავლეთის ცივილიზაციასთან დაპირისპირება წარმოადგენს.
ნაშრომის ბოლო ნაწილი თანამედროვე საერთაშორისო სისტემისა და მსოფლიო წესრიგის განხილვას ეძღვნება, სადაც ოთხპოლუსიანი მსოფლიოს არსებობის შესახებ მოსაზრებაა წარმოდგენილი.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა, მსოფლიო წესრიგი, ერთპოლუსიანი სამყარო, ორპოლუსიანი სამყარო, მრავალპოლუსიანი სამყარო.*

1. შესავალი

მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეპოქისთვის განსხვავებული მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა იყო დამახასიათებელი, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებს. საერთაშორისო წესრიგისა და საერთაშორისო სისტემის ძირითადი მახასიათებლების შესწავლა და ანალიზი ოცდაათწლიანი ომის დასრულების და ვესტფალიის ზავის ხელმოწერის შემდეგ დაიწყო, როდესაც საერთაშორისო ასპარეზის მთავარ სუბიექტებად ცენტრალიზირებული ქვეყნები - ერი-სახელმწიფოები მოგვევლინენ. ეტაპობრივად იცვლებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაც, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ძალთა ბალანსის, ანუ მრავალპოლარული სამყაროს პრინციპს ეფუძნებოდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „რბილ ბიპოლარულ სისტემად“ გადაიქცა, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა, თუ როგორი საერთაშორისო სისტემა ჩამოყალიბდა და არსებობს დღევანდელ ეტაპზე.

შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო სისტემის რამდენიმე ვარიანტის განხილვა და მათი შედარებითი ანალიზი საკვლევ თემას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. იგივე უკავშირდება მსოფლიო წესრიგის პრინციპს. როგორც ვიცით, ცნობილია მე-17 საუკუნის შუა პერიოდიდან მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე ვესტფალიის, ვენის, ვერსალ-ვაშინგტონის და იალტა-პოტსდამის მსოფლიო წესრიგის შესახებ. ყველა აღნიშნული სახელწოდება უკავშირდება იმ კონკრეტულ ქალაქებს, რეზიდენციებს და რეგიონებს, სადაც კონკრეტულ ზავს მოეწერა ხელი, ან სადაც კონკრეტული ომის შემდეგ შესაბამისი კონფერენციები ან უმაღლეს დონეზე შეხვედრები იყო გამართული. როგორც ცნობილია, „ცივი ომის“ დასრულება რაიმე გლობალური ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შედეგად არ მომხდარა და „ცივი ომის“ დამთავრებისთვის მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია არ გამართულა. შესაბამისად, არ არსებობს რაიმე ზუსტი და კონკრეტული დასახელება იმ საერთაშორისო წესრიგის, რომელიც „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ მსოფლიოში არსებული საერთაშორისო რეალობა მკვეთრად შეიცვალა და მსოფლიო „ცივი ომის“ რეალიებს ისევ დაუბრუნდა, მეტიც, თუ განვიხილავთ იმ ფაქტს, რომ რუსეთ-უკრაინის ომს გარკვეულწილად გლობალური მნიშვნელობა ენიჭება და მიმდინარეობს ბრძოლა დემოკრატიულ დასავლეთს და რუსეთს (რომელსაც თავის მხრივ ჰყავს პარტნიორები ბრიქსის წევრი ქვეყნების სახით) შორის, არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ დღევანდელი „ცივი ომის“ არსებული რეალიები ერთ დღეს „ცხელ ომში“ გადაიზარდოს და მესამე მსოფლიო ომის დაწყებისთვის, გარკვეული წინაპირობები შეიქმნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელ ეტაპზე არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის და მსოფლიო წესრიგთან დაკავშირებული რეალობების განხილვას, განსაკუთრებუული აქტუალობა ენიჭება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის **კვლევის მიზანს** წარმოადგენს, გაანალიზოს წარსულში და თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო სისტემის და მსოფლიო წესრიგის ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

თავის მხრივ, **საკვლევი თემის აქტუალობა** საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის დეტალურ განხილვასა და ანალიზთან არის დაკავშირებული.

საკვლევი ობიექტი და საგანი გახლავთ მიმდინარე გამოწვევებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე საერთაშორისო სისტემისა და მსოფლიო წესრიგის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ანალიზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი **საკვლევი კითხვები** შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საერთაშორისო ურთიერთობების და მსოფლიო წესრიგის რომელი ძირითადი სისტემები და ფორმებია ცნობილი დღევანდელი საზოგადოებისათვის?

როგორია თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა და რა ფაქტორებმა განაპირობა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება?

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თანამედროვე სამეცნიერო სფეროში აპრობირებული და დამკვიდრებული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მომდინარეობს საკვლევი ობიექტის მიზნებიდან, მისი არსიდან და დასახული ამოცანებიდან. კვლევაში წარმოდგენილი იქნება **სისტემური ანალიზი** საერთაშორისო სისტემის შესახებ.

ასევე გამოყოფილ იქნა: **ისტორიული, სისტემური, შედარებითი, მეცნიერული კვლევის მეთოდები (ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი)** და სხვა.

ისტორიული მეთოდის კვლევის გამოყენება დაკავშირებულია მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სისტემებთან და მსოფლიო წესრიგთან. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით დადგინდა მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის მიზეზები და გამოიკვეთა საკვანძო ისტორიული პროცესები.

სისტემური მეთოდი, რომელიც გამოვიყენეთ ერთის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის უშუალო ანალიზისათვის და მეორე მხრივ, სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურის, როგორც მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში შემავალი მნიშვნელოვანი ელემენტების გაგების თვალსაზრისით.

შედარებითი მეთოდის ფარგლებში განხორციელდა სხვბადასხვა საერთაშორისო სისტემის შედარებითი ანალიზი.

კვლევის თეორიული ჩარჩო - იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი მოსაზრებები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას და მსოფლიო წესრიგს უკავშირდება - ეფუძნება სახელმწიფოებს შორის კონკურენციას, თემაში ძირითადად პოლიტიკური რეალიზმის პრინციპებია წარმოადგენილი. როგორც ცნობილია, პოლიტიკური რეალიზმი გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა-სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი - ძალა (სამხედრო,

პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო ძირითადი რეგულატორი - ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება საერთაშორისო სამართალი და მორალი.

იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური კონკურენციის მიუხედავად სახელმწიფოებს სხვადასხვა მსოფლიო წესრიგის თუ სისტემის არსებობის ფარგლებში ერთმანეთთან მაინც უწევთ თანამშრომლობა, ნაშრომი ასევე ეფუძნება **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას**. აღნიშნული თეორიის თანახმად, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ბევრად უფრო რთული და მრავალფეროვანი პროცესია, ვიდრე ამას <u>პოლიტიკური რეალიზმის</u> კონცეფცია გვიხატავს. შემთხვევითი არ არის, რომ მოცემული კონცეფციის მანიფესტად წოდებული რ. კიოჰენისა და ჯ. ნაის წიგნი „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“ შემდეგი სიტყვებით იწყება: „ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს ბუნდოვანი წინადადება გამოხატავს არასაკმარისად გაცნობიერებულ, მაგრამ ფართოდ გავრცელებულ შეგრძნებას, რომ მსოფლიო პოლიტიკის არსი იცვლება“ (კიოჰენი, ნაი, 1977).

კვლევის **მთავარ სტრატეგიას** წარმოადგენს განსაზღვრულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემები და აღნიშნულის ნიადაგზე გაანალიზებულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემა, რომლის ფარგლებშიც უნდა შესწავლილ იქნეს ისეთი საკითხები, როგორებიც გახლავთ: პოლიტიკური აქტორების მრავალფეროვნება როგორც მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის ცვლილების ფაქტორი და მსოფლიოს ახალი პოლიტიკური სისტემის კონტურები და მასზე გადასვლის სცენარები.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მეორე ნაწილი თავის მხრივ დაეთმობა მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შესახებ არსებულ მოსაზრებებს, მათ შორის თანამედროვე მსოფლიო წესრიგთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს და 21-ე საუკუნეში მსოფლიო პოლიტიკური მოწყობის შესაძლო მოდელებს. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე კი უნდა განისაზღვროს, თუ როგორი მსოფლიო წესრიგი არსებობს თანამედროვე ეტაპზე?

შესაბამისად, **კვლევის სიახლეს** წარმოადგენს საფუძვლიანი წარმოადგენა იმისა, თუ როგორი მსოფლიო წესრიგის პირობებში იმყოფება თანამედროვე მსოფლიო? სადაც საუბარია იმაზე, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისა და აშშ-ში პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ, მსოფლიო გახლავთ ოთპოლუსიანი, სადაც ერთი პოლუსი გახლავთ აშშ, მეორე ევროკავშირი, მესამე “ბრიქსის” წევრი სახელმწიფოები და მეოთხე ე.წ. მიუმხრომლობის მოძრაობის წევრი ქვეყნები. გარდა ამისა, ნაშრომში სიღრმისეულადაა გაანალიზებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ძირითადი მახასიათებლები. კერძოდ, თუ რომელია ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი, სამპოლუსიანი და მრავალპოლუსიანი სისტემები. ასევე წარმოდგენილი და განხილულია მსოფლიო წესრიგის ძირითადი ნიშნები მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში და

მოცემულია საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემების და სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული მსოფლიოს წესრიგის შედარებითი ანალიზი.

2. საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემა

ნაშრომზე მე-20 საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, სხვადასხვა ტრანსნაციონალური აქტორების სიმრავლისა თუ მათი აქტივობების ზრდისა და ასევე მათ შორის ურთიერთობათა გართულების მიუხედავად, საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი) ურთიერთობათა სისტემა კვლავაც რჩება თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ელემენტად, სადაც წამყვან როლს სახელმწიფოები ასრულებენ. ამავე დროს, 21-ე საუკუნის დასაწყისში ამ სფეროშიც უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს აქვს ადგილი. „ცივი ომის“ დასრულებასთან ერთად დასრულდა ბიპოლარული მსოფლიოს ეპოქა, რომელიც მსოფლიოს ორ ბანაკად ჰყოფდა. ისმის კითხვა, რითი მოხდა ბიპოლარული სისტემის ჩანაცვლება? აღნიშნულ თემაზე გასული საუკუნის 90-იან წლებიდან მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის შესახებ დისკუსიები განახმლდა. დებატები ამ თემაზე, რომელიც ძირითადად წარიმართება იმ მკვლევარების მიერ, რომლებიც რეალისტურ ტრადიციებს ეფუძნებიან, უკავშირდებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემის შესახებ არსებულ ორ ძირითად მოსაზრებას:

- მსოფლიო გახდა მონოპოლარული (ან ერთპოლარული).
- მსოფლიო გახდა მულტიპოლარული (მრავალპოლარული), რომელშიც ძალთა რამდენიმე ცენტრია განლაგებული.

1990-იანი წლების დასწყისში, სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის დროს, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მსოფლიოს კომუნისტური სისტემის დაშლის შედეგად გაქრა ერთ-ერთი „პოლუსი“ (ჩიტაძე, 2011). ეს იდეა აიტაცა ზბიგნევ ბჟეჟინსკიმ თავის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა: „ამერიკის უპირატესობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“ (Brzezinski, 1997). ავტორმა აღნიშნა, რომ „მეტოქის მიერ განცდილი მარცხის შედეგად, აშშ უნიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ის გახდა პირველი და ერთადერთი ზესახელმწიფო“. შემდგომში ის აღნიშნავს, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკის დომინანტობა შემცირდება, ნაკლედ სავარაუდოა, რომ რომელიმე სახელმწიფო შეძლებს იმავე მსოფლიო ჰეგემონობის მიღწევას, რომელიც აშშ-ის დღვანდელ ეტაპზე გააჩნია“ (Brzezinski, 1997).

აღნიშნულმა მოსაზრებამ, თავისი სხვადასხვა ნიუანსებით, შენიშვნებითა და განმარტებებით თავისი მხარდაჭერა ჰპოვა რიგი მკვლევარებისა და პრაქტიკოსების მხრიდან, ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატებიდან. საუბარი მიმდინარეობდა

აშშ-ის მეთაურობით ერთპოლუსიანი სამყაროს ე.წ. Pax Americana ჩამოყალიბების შესახებ. ამავე დროს იყვნენ ის მეცნიერებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიოს ერთპოლარულობა არ ნიშნავს ერთი პოლუსის არსებობას, რომელიც მხოლოდ აშშ-ის მიერ არის წარმოდგენილი. მათი აზრით, მსოფლიო წესრიგი შედარებით უფრო რთულად გამოიყურება. მაგალითად, რიგი ავტორები თვლიან, რომ მოცემულმა პოლუსმა თავისი განვითარება ჰპოვა ჯერ კიდევ „ცივი ომის“ ეპოქის განმავლობაში და თავის მხრივ წარმოადგენს მსოფლიო მმართველობასთან დაკავშირებულ გარკვეულ შეთანხმებულ ქმედებებს პლანეტის წამყვან შვიდ სახელმწიფოს შორის („დიდი შვიდეული“), რომელიც გასული საუკუნის ბოლოდან გარკვეული დროის განმავლობაში „დიდ რვიანად“ გადაიქცა, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2014 წელს ყირიმის უკანონო ოკუპაცია მოახდინა, ისევ „დიდი შვიდეული“ იქნა ჩამოყალიბებული.

ასეა თუ ისე, ის კვლევები, რომლებიც განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იან წლებში და 21-ე საუკუნის დასაწყისში განხორციელდა და რომლებიც არა მხოლოდ პოსტბიპოლარულ სამყაროში აშშ-ის ლიდერობასა და ერთპოლარობას მიეძღვნა, არამედ სამენიერო ნაშრომების ფარგლებში ამ შემთხვევაში „ცალმხრივობის“ პოლიტიკაც იქნა განხილული, რომლის თანახმად რიგი საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებები უახლოესი მოკავშირეების პოზიციების გათვალისწინების გარეშე მიიღება. ასე იქნა მაგალითად მიღებული გადაწყვეტილება აშშ-ის მიერ დიდ ბრიტანეთთან ერთად 2003 წელს ერაყში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ.

21-ე საუკუნის დასწყისში, დაიწყო ინტენსიური დისკუსია თემაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დასაბუთებული აშშ-ის „ცალმხრივობის“ პოლიტიკა. ს. ჰანტინგტონის აზრით, აშშ-ის ლიდერობა გამართლებულია იმით, რომ ეს ქვეყანა გახლავთ ყველაზე თავისუფალი და ლიბერალური (Huntington, 1996). კენეტ უოლცი თავის ნაშრომში „მინიშნებები მრავალპოლარობაზე“, რომელიც 2000 წელს იქნა გამოქვეყნებული, ერთმანეთთან აახლოებს ტერმინებს „ერთპოლარულობა“ და „ცალმხრივობა“ (Waltz, 2000). ის ერთპოლარობას უკავშირებს აშშ-სთვის რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული საფრთხეების არარსებობის შესახებ მოსაზრებას და შესაბამისად, თეთრ სახლს გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ საერთაშირისო ასპარეზზე საკუთარ პოზიციებზე დაყრდნობით იმოქმედოს. ამავე დროს, რიგი ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე აშშ-ის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია აშშ-ის წამყვანი პოზიციები გლობალურ დონეზე.

ერთპოლარობისა და განსაკუთრებით ცალმხრივობის პოლიტიკასთან დაკავშირებულმა იდეებმა გამოიწვია კრიტიკა როგორც საკუთრივ აშშ-ში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება იმის მიზანშეწონილობა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის თავზე აიღონ გლობალურ დონეზე პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ტვირთი და ასევე, ითამაშონ „საერთაშორისო პოლიციელის“ როლი. საერთაშორისო არენაზე აშშ-ის უფრო თავშეკავებული პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული არგუმენტაციების დროს, მაგალითად წარმოდგენილი იყო ჯორჯ ვაშინგტონის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკამ მისთვის მიუღებელი მიზნების რეალიზაციაში თავი უნდა შეიკავოს.

სხვათა შორის, აღნიშნავდა რა აშშ-ის ლიდერობის შესახებ ცივი ომის დასრულების შემდეგ, ზ. ბჟეჟინსკი მიუთითებდა იმ შეზღუდვების თაობაზე, რომელიც ამ ლიდერობის რეალიზაციის პროცესს უკავშირდება. ცნობილი პოლიტიკოსი და მეცნიერი აღნიშნულ შეზღუდვებს თვითონ ამერიკულ საზოგადოებაში ხედავდა, რადგანაც, ჯერ კიდევ 1996 წელს ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები ცხადყოფდა, რომ ამერიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა (74%) უპირატესობას ანიჭებდა იმ ფაქტს, რომ აშშ-ს სხვა ქვეყნებთან თანაბარი ხარისხით გადაეწყვიტა სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემა (Brzezinski, 1997).).

უნდა აღინიშნოს, რომ ცნება „ცალმხრივობა“ და „ერთპოლარობა“ ხშირად ემთხვევა და ერთმანეთისაგან განსხვავდება, თუმცა ნათელია, რომ პოლიტიკა და ცალმხრივობა შეიძლება რეალიზებულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობათა ნებისმიერი სისტემის ფარგლებში და უმძლავრეს სახელმწიფოს შეეძლება გაითვალისწინოს თავისი ინტერესები და ქმედებები სხვა ქვეყნებთან კოორდინაციით და ა.შ. ე.ი. აიღოს ორიენტაცია თანასწორობაზე საერთაშორისო პრობლემების მოგვარების პროცესში.

ასეა თუ ისე, ცალმხრივობის პოლიტიკის კრიტიკას ხშირად თან სდევდა მითითებები თანამედროვე მსოფლიოს მრავალპოლარობის შესახებ, სადაც აშშ-სთან ერთად, არსებობენ სხვა ცენტრებიც, როგორც ეს იყო ევროპაში, მაგალითად „ევროპული კონცერტის“ დროს. ჰენრი კისინჯერი ახსენებს საზოგადოებას იმ ფაქტის შესახებ, როდესაც წერდა, რომ „საერთაშორისო სისტემა, რომელმაც ყველაზე დიდხანს დიდი ომების გარეშე იარსება, ვენის კონგრესზე 1815 წელს შეიქმნა“ (Kissinger, 1991).

სხვათა შორის, საერთაშორისო ურთიერთობათა მრავალპოლარული სისტემის მოდელი დასავლურ სამეცნიერო წრეებში განიხილებოდა ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდის განმავლობაში და დაკავშირებული იყო აშშ-ის ძლიერების შედარებით შემცირებასთან, რაც

თავის მხრივ მსოფლიოში სიძლიერის ახალი ცენტრების გამოჩენას გვთავაზობდა. მაშინ ამ იდეამ ვერ ჰპოვა თავისი მხარდაჭერა საბჭოთა კავშირში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მრავალპოლარულობის იდეებმა თავისი გამოხმაურება ჰპოვა სხვადასხვა ქვეყნების პოლიტოლოგიურ წრეებში. „ცივი ომის“ წინა ეტაპის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა მეცნიერები თვლიდნენ, რომ დადგა დრო ახალი ცენტრებისა და პოლუსების შექმნისათვის, კერძოდ, ამ ცენტრებად იქცა ჩინეთი და დასავლეთ ევროპა. ამავე დროს, მრავალპოლარობის კონცეფცია სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში გვევლინებოდა არა იმდენად როგორც ბიპოლარული მსოფლიოს კრახის შედეგად შექმნილი რეალობა, არამედ როგორც სისტემა, რომლისკენაც აუცილებელია სწრაფვა, რომლის დროსაც ყველა საგარეოპოლიტიკური და დიპლომატიური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული.

„ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრებები, კერძოდ იგი წერდა: „ცივი ომის დასრულება არ ნიშნავს ძალაუფლებისა და გავლენებისათვის ბრძოლის შეწყვეტას .... შესაძლებელია ის სტაბილური მსოფლიოს დასასრულზე მიანიშნებდეს“ (Huntington, 1989).

საერთო ჯამში, ბიპოლარული სისტემის დარულების შემდეგ განსახილველად წარმოდგენილია შემდეგი კითხვა: იყო თუ არა ცივი ომის პერიოდი უფრო სტაბილური და უსაფრთხო? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას საერთაშორისო ურთიერთობათა უფრო სტაბილური სტრუქტურის ფორმირებისათვის?

მრავალპოლარული მსოფლიოს იდეამ, როგორც ოფიციალური საგარეო პოლიტიკის ორიენტირმა თავისი განვითარება ჰპოვა 1990-იანი წლების ბოლოს, კერძოდ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი და ა.შ. აღნიშნულმა თავისი განსახიერება რამდენიმე ოფიციალურ დოკუმენტში მოახდინა.

რიგ პოლიტოლოგთა აზრით, ისეთი ცნებების განსაზღვრა, როგორებიც გახლავთ „მრავალპოლარობა“ და „ერთპოლარობა“ აზრს მოკლებულია. საუბარი უმთავრესად უნდა მიმდინარეობდეს ცენტრების და არა პოლუსების შესახებ. თუმცა ტერმინები „პოლარობა“ ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ ჟურნალისტიკაში, არამედ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ჯ. რურკმა განავრცო რიგი კვლევები, რომლებიც ამ სფეროში იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, მან საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სხვადასხვა ვარიანტები წარმოდგინა, მათ შორის:

1. ერთპოლუსიანი სამყარო.

ერთპოლუსიანი სამყაროს მახასიათებლებია:

- ცენტრალური (ძირითადი) ხელისუფლება აყალიბებს „თამაშის წესებს“ და იყენებს რა სამხედრო და ეკონომიკურ ბერკეტებს - დომინირებს;
- ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს დავების გადაწყვეტას „ქვეშევრდომებს“ შორის;
- ცენტრალური ხელისუფლება წინ აღუდგება „ქვეშევრდომებს“ ამ უკანასკნელთა მისწრაფებაში მოიპოვონ დამოუკიდებლობა.

ლიტერატურაში ერთპოლარობის ქვეშ ხშირ შემთხვევაში შემოთავაზებულია სიტუაციის აღწერა საერთაშორისო არენაზე, როდესაც ერთი ზესახელმწიფო სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მაჩვენებლების მიხედვით სხვა სახელმწიფოებისაგან აშკარად გამოიყოფა. ერთპოლარობის შესახებ გამართული დისკუსიების დროს საერთაშორისო ფედერაციული სისტემის ჰიპოთეტური ვარიანტი გაცილებით უფრო იშვიათად განიხილება.

2. ბიპოლარული სისტემა.

ბიპოლარული სისტემის მახასიათებლები:

- ორ პოლუსს შორის მეტად მტრული დამოკიდებულება;
- საპირისპირო ბლოკის გავლენის შემცირების მცდელობა;
- ბლოკის გაძლიერებისკენ მიმართული ძალისხმევა ახალი წევრების მიზიდვის გზით.

3. სამპოლარული (ტრიპოლარული) სისტემა

ტრიპოლარული მსოფლიოს მახასიათებლები:

- განზრახვა შენარჩუნებულ იქნეს კარგი ურთიერთობები ორ სხვა დანარჩენ მონაწილესთან ან, როგორც მინიმუმ, მცდელობის არსებობა აცილებულ იქნეს მათთან კონფრონტაცია;
- განზრახვა, არ იქნეს დაშვებული პროცესის ორ დანარჩენ მონაწილეთა შორის ურთიერთობათა გაუმჯობესება.

4. მრავალპოლარული სისტემა

მრავალპოლარული სამყაროს მახასიათებლები:

- სახელმწიფოს მიზანი, წინ აღუდგეს ყველა იმ მონაწილის მისწრაფებებს, ვისაც სურს ლიდერობა;

- სურვილი გააძლიეროს საკუთარი მდგომარეობა ან როგორც მინიმუმ გავლენის შესუსტების არდაშვება (მდგომარეობის განმტკიცების რეალიზება ხდება მოლაპარაკებათა პროცედურების მეშვეობით, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, ძალისმიერი მეთოდებით);
- დაპირისპირების არსებობის შემთხვევაშიც, მიზანს წარმოადგენს სისტემის დესტაბილიზაციის არ დაშვება.

მთლიანობაში, მრავალპოლარული მსოფლიოს შემთხვევაში, ეს გახლავთ რამდენიმე სახელმწიფოს ბალანსის პოტენციალი, თუმცა ერთპოლარობის პირობებში ერთი სახელმწიფო სხვა ქვეყნებისაგან ცალკე იმყოფება. საერთო ჯამში, დისკუსიები მსოფლიოს პოლარობის შესახებ სხვადასხვა წარმოდგენილი სქემებისა და ვარიაციებზე დაყრდნობით იმართება და ტრადიციულად შემდეგ ძირითად პრინციპებს ეფუძნება:

პოლუსი - სახელმწიფო (არასახელმწიფო სუბიექტები მსოფლიოს პოლარობის განხილვის პროცესში მხედველობაში არ მიიღება);

- სისტემის სიმკვრივე პირველ რიგში მისი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათით განისაზღვრება. მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყეს ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება;
- ძირითად შემთხვევაში, პოლუსების განხილვისას სახელმწიფოთა სამი ძირითადი დაჯგუფებაა ნახსენები: ზესახელმწიფოები, საშუალო სახელმწიფოები და პატარა ქვეყნები;
- წარმოდგენები მსოფლიოს პოლარობის შესახებ მისი კლასიკური ვერსიის ფარგლებში ძირითადად რეალიზმისა და ნეორეალიზმის კონცეფციებზეა ორიენტირებული (Rourke, 2007).

თუ მსოფლიოს სახელმწიფო-ცენტრისტული მოდელის განვითარების სტადიაში სახელმწიფოთა ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი ერთმანეთს ემთხვევოდა, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური ფაქტორი შედარებით დამოუკიდებელ სფეროდ გადაიქცა. მაგალითად, ეს გამოვლინდა 1970-იან წლებში განვითარებული მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის დროს, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც ფლობდნენ შედარებით მძლავრ სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს, იძულებულები გახდნენ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები ოპეკ-ის წევრ სახელმწიფოებთან. დღეს ბევრი მკვლევარი მიუთითებს ეკონომიკური ფაქტორის როლის შესახებ და აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით იაპონიას, როგორც ერთ-ერთ პოლუსს განიხილავენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა არ ფლობს მძლავრ სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს. სხვადასხვა მკვლევარი როგორც პოლუსს განიხილავს ჩინეთს, პირველ რიგში ეკონომიკური მიზეზების გამო.

რთულია იმის თქმა, განსაზღვრავს თუ არა ეკონომიკური ფაქტორი „პოლუსების“ ძალას XXI საუკუნეში? შესაძლებელია, ეს იქნება სხვა მაჩვენებლები, კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და მათი გამოყენების დონე, ჰიდრო-ენერგეტიკული პოტენციალი, ასევე განათლება, საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური აქტიურობა და ა.შ. მაგალითად, ს. სტრეინჯი თვლის, რომ მომავალს განსაზღვრავენ არა არმია და რესუსები, არამედ ის, თუ რამდენად შეძლებს საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე ზემოქმედება მოახდინოს ახალი „თამაშის წესების“ წარმართვაზე, ანუ მხედველობაში მიიღოს ის ნორმები და პრინციპები, რომელთა საფუძველზეც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ურთიერთქმედებები უნდა იქნეს აწყობილი (Strange, 1996).

თანამედროვე პერიოდზე საუბრისას, თუ ვიმსჯელებთ 2002 წელს ჯოზეფ ნაის მიერ გამოქვეყნებული წიგნის მიხედვით, რომლის სათაური გახლავთ „ამერიკული სიძლიერის პარადოქსი: რატომ არ შეუძლია მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოს გაუმკლავდეს მარტო პრობლემებს“, პოლარობა ხდება მრავალგანზომილებიანი. მოცემულ შემთხვევაში პოლარობის სამ დონეზე შეგვიძლია მივუთითოთ: პირველი- სამხედრო-პოლიტიკური სფერო და აქაც დომინირებადი მდგომარეობა უკავია აშშ-ის. მეორე - ეკონომიკური. აღნიშნულ დონეზე არსებობს სამი ძირითადი ცენტრი: აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონია (თუმცა თანამედროვე პერიოდში აუცილებელია ჩინეთის შესახებ საუბარი). ბოლოს, მესამე - ტრანსნაციონალურიო ურთიერთობების დონე, სადაც ერთმნიშვნელოვნად რთულია ლიდერობაზე მითითება. ჯოზეფ ნაის აზრით, შეცდომას წარმოადგენს ის, რომ რამდენიმე პოლიტიკოსი მხოლოდ პირველ დონეს ხედავს, ამავე დროს არ აქცევს ყურადღებას სხვა დონეების არსებობას (Nye, 2002).

ტრანსნაციონალური დონის განსაზღვრას მივყავართ იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ მსოფლიოს პოლიტიკური სისტემა არ განიხილება როგორც მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები.

3. პოლიტიკური აქტორების მრავალფეროვნება როგორც მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის ცვლილების ფაქტორი

თავდაპირველად, 1648 წელს ვესტფალიის სისტემა იმის საფუძველზე იქნა შექმნილი, რომ საერთაშორისო ურთიერთქმედების მთავარ სუბიექტს სახელმწიფო წარმოადგენდა. იგი საერთაშორისო სცენაზე მოქმედებს დამოუკიდებლად, მაგალითად სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ის აყალიბებს კოალიციებს, სამხედრო ბლოკებს, კავშირებს და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემა ამავე დროს გახლავთ მსოფლიოს პოლიტიკური სისტემა, სადაც სხვა ტრანსნაციონალური აქტორების როლი უმნიშვნელოა.

ვესტფალიის სისტემამ ლოგიკური დასრულება XX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო, როდესაც დაიწყო კოლონიური სისტემის ნგრევა და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ბევრი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა. ამავე დროს, სახელმწიფო-ცენტრისტული სისტემის წიაღში საფუძვლიანი ცვლილებები განხორციელდა: სახელმწიფოების გარდა, მსოფლიო სცენაზე აქტიურად გამოჩნდნენ სხვა მოქმედი პირები - სამთავრობათშორისი ორგანიზაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური მოძრაობები, მრავალეროვნული კორპორაციები, სახელმწიფოთაშორისი რეგიონები, მეგაპოლისები და ა.შ.

რა თქმა უნდა, მრავალი ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტი საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო ისტორიის ადრინდელ ეტაპზეც მოქმედებდა, თუმცა პირველი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა; თავის მხრივ, ინგლისური „ოსტ-ინდიან“ (Ost-Indian) კომპანიის საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ერთ-ერთი პირველი ტრანსნაციონალური ბიზნესი, ხოლო ქალაქების პოლიტიკური საქმიანობა ჯერ კიდევ ვესტფალიის სისტემის ჩამოყალიბებამდე იყო ცნობილი, საკმარისია გავიხსენოთ ძველი საბერძნეთის ქალაქების ე.წ. პოლისების პოლიტიკა. ამიტომ, თანამედროვე ტრანსნაციონალური აქტორების უმეტესობის ახლად წარმოდგენა შედარებით პირობითად არის შესაძლებელი. საერთო ჯამში კი სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორების გამოჩენამ და გააქტიურებამ მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ყველა კატეგორიის ტრანსნაციონალური აქტორების (ტნა) რაოდენობა რადიკალურად გაიზარდა, გარდა ამისა, მათ შორის ურთიერთქმედება გაცილებით გართულდა.

ნეოლიბერალური ტრადიციის ფარგლებში ჩართული მკვლევარები იყვნენ პირველები, ვინც ყურადღება გაამახვილა იმ ცვლილებებზე, რომლებიც მე - 20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხორციელდებოდა და მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემასთან იყო დაკავშირებული. გასული საუკუნის 80 – იანი წლების ბოლოს ჯ. როზენაუმ აღნიშნა, რომ ტნა – ს საქმიანობის შედეგად, საგარეო და საშინაო პოლიტიკა ბევრი მიმართულებით ერთიანი რეალობის წარმოჩენას იწყებდა (Rosenau, 1990). თუ ამ იდეას მივყვებით, უნდა აღინიშნოს, რომ რ. კიოჰეინმა და ჯ. ნაიმ 1972 წელს გამოცემული წიგნის „ტრანსნაციონალური ურთიერთობები და მსოფლიო პოლიტიკა" შესავალ ნაწილში წარმოადგინეს იდეა, რომ ურთიერთქმედებები როგორც საგარეო გარემოს ფარგლებში, ასევე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებით არ შემოიფარგლება (Keohane, Nye, 1972).

ვესტფალიის კლასიკური მსოფლიო სისტემის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობები ფაქტობრივად სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს წარმოადგენდა. სახელმწიფო, რომელიც არსებითად გახლდათ მსოფლიო პოლიტიკის ერთადერთი აქტორი (სხვა სუბიექტები უფრო წარმოადგენდნენ მონაწილეებს, ვიდრე აქტორებს), შიდაპოლიტიკურ ინსტიტუტებზე და პროცესებზე ასევე თავის გავლენას ახდენდა და არსებითად აკონტროლებდა მათ.

თანამედროვე მსოფლიოში - რჩებოდნენ რა ერთ-ერთ აქტიურ მოთამაშეებად, სახელმწიფოებმა რთულ ურთიერთობებში შესვლა არა მხოლოდ ერთმანეთთან, როგორც ეს იყო ადრე, არამედ სხვა ტრანსნაციონალურ აქტორებთანაც დაიწყეს, რომლებმაც, თავის მხრივ, ასევე განავითარეს ინტენსიური ურთიერთქმედება როგორც ერთმანეთს შორის, ასევე სხვადასხვა შიდა სახელმწიფო ინსტიტუტებთან.

1970-იან წლებში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ტრანსნაციონალური აქტორების საქმიანობისათვის პრინციპულად ახალი მასშტაბები იქნა გახსნილი, რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ახალი ეტაპის განვითარების შედეგად გახდა შესაძლებელი. საბოლოო ჯამში, მონაწილეთა რაოდენობა და მათ შორის ურთიერთსაქმიანობა კიდევ უფრო რთულდება. ინგლისელმა მკვლევარმა ჯ. გრუმმა წარმოადგინა ზემოაღნიშნული მოვლენის საინტერესო აღწერა, რომელსაც მან „ტრანსნაციონალური აქტორების ზრდადი მრავალფეროვნება“ უწოდა (IGI Global, 2022). თავის მხრივ, აღნიშნულმა მიგვიყვანა ფენომენამდე, რომელსაც მ. ნიკოლსონმა თანამონაწილეობის პარადოქსი უწოდა. მისი მთავარი პრობლემა გამოიხატება იმაში, რომ რაც უფრო ნაკლებია მსოფლიო არენაზე მონაწილეთა რაოდენობა და რაც უფრო მეტია მათ შორის მსგავსება, მით უფრო პროგნოზირებადია მათი ქმედებები და აღნიშნული ქმედებებით გამოწვეული შედეგები (ჩიტაძე, 2024).

ვესტფალიის პოლიტიკური სისტემის ფუძემდებლები, რომელთა წინაშეც შედარებით მცირე მასშტაბის მაგრამ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა, აღმოჩნდნენ დილემის წინაშე, რათა ურთიერთქმედებათა ახალი წესები ყოფილიყო შემუშავებული. მათ იპოვეს გამოსავალი იმაში, რომ შეზღუდეს მონაწილეთა რაოდენობა, ხოლო რეალურ მონაწილეებად მხოლოდ სახელმწიფოები დაადგინეს, თუმცა ამ უკანასკნელებისათვის გარკვეული „საერთო მაჩვენებელი“ იქნა განსაზღვრული (მათემატიკური ტერმინოლოგიის გარკვეულწილად გამოყენების შემთხვევაში) - ეროვნული სუვერენიტეტი. მოცემული სოციალური აღმოჩენა გახლდათ ნამდვილად მნიშვნელოვანი. აღნიშნულმა მსოფლიოს მისცა შესაძლებლობა სიცოცხლისუნარიანი მსოფლიო პოლიტიკური სისტემა ყოფილიყო შექმნილი.

ამავე დროს, სახელმწიფო-ცენტრისტული სისტემის განვითარებამ, როგორც ყოველთვის, როგორც საკუთრივ სისტემის რაოდენობრივ, ასევე მრავალი მოქმედი სუბიექტის გარეგანი მდგომარეობის ცვლილებამდე მიგვიყვანა. მათ ერთმანეთთან ახალი ურთიერქმედებები და საქმიანობა დაიწყეს. თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური ურთიერთობების გართულების გათვალისწინებით, განვითარების ახალ ეტაპზე გაჩნდა ე.წ. „დროის შემცირების“ (მოვლენათა განვითარების სიჩქარე) მოვლენა, რის შედეგად მსოფლიო პოლიტიკური პროცესები ხდება არა მხოლოდ რთულად პროგნოზირებადი, მაგრამ ხანდახან მათზე დაკვირვებაც ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ჯამში, პრობლემა რთულდება იმ ფაქტის გამოც, რომ ტრანსნაციონალური აქტორები ისეთი დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მრავალი სხვადასხვა პარამეტრებით, კერძოდ, გავლენის რესურსებით, ძირითადი მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, შიდა სტრუქტურული ორგანიზაციით და ა.შ.

მაგალითად, სახელმწიფოები, თავისი გავლენის გაზრდის მიზნით ძალზედ ხშირად საკუთარ პოლიტიკურ რესურსს ეყრდნობიან, თუმცა ამავე დროს ისინი ხშირად ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა რესურსებს იყენებენ. ეკონომიკური რესურსი ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის და საერთო ჯამში ტრანსნაციონალური ბიზნესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მოკლებულნი არიან სერიოზულ ეკონომიკურ და ფინანსურ და განსაკუთრებით სამხედრო შესაძლებლობებს, გააჩნიათ გარკვეული შესაძლებლობა მოახდინონ გარკვეული გავლენა მიმდინარე პროცესზე იმით, რომ ისინი ფლობენ მეტად საჭირო და ზუსტ ინფორმაციას „ადგილიდან“. არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ისიც, რომ მასთან თანამშრომლობენ მოხალისეები, ასევე არასამთავრობოები მოსახლეობის ნდობითაც სარგებლობენ და ა.შ. თავის მხრივ, სახელმწიფოთა შიდა რეგიონები და მეგაპოლისები იყენებენ საკუთარ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზებას ისინი ახდენენ იმ ფაქტორების მეშვეობით, რომ შედარებით მცირე ტერიტორიაზე სხვადასხვა ქსელების (სატრანსპორტო, საინფორმაციო, საფინანსო და ა.შ.) ერთმანეთთან გადაკვეთას აქვს ადგილი. შედეგად, ხდება სხვადასხვა რესურსების არა მხოლოდ ურთიერთდაკავშირება, არამედ ისინი აძლიერებენ კიდეც ერთმანეთს.

ტრანსნაციონალური აქტორები თავიანთი მიზნების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მათი საქმიანობა შესაძლებელია კონცენტრირებულ იქნეს როგორც ნებისმიერი პროდუქტის შექმნაზე (ამ შემთხვევაში საუბარია სხვადასხვა ტიპის პროდუქტებზე - საქონელი, მომსახურება, შენობები, ახალი კავშირები და ურთიერთობები და ა.შ), ასევე უკვე არსებულის ლიკვიდაციაზე (სხვადასხვა ანტიგლობალისტური მოძრაობები, ტერორისტული ორგანიზაციები და ა.შ.).

ტრანსნაციონალური აქტორების მიზნები ერთმანეთისაგან დროის პარამეტრების მიხედვითაც განსხვავდება. კერძოდ, თუ სახელმწიფოები მოქმედებენ იმის საფუძველზე, რომ ისინი "არსებობენ მარადიულად" (ანუ მათთვის არ არსებობს „დროის შეზღუდვის“ ფაქტორი), საქმიანობის პირველ ეტაპზე სხვა მოქმედ ერთეულებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ "მათი არსებობის ზღვარი". მოცემული თვალსაზრისით, ჩნდება კითხვა საკუთარი საქმიანობის ფარგლებში არასახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობის (პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური) შესახებ. ზოგიერთი სპეციალისტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არასახელმწიფო მოქმედი პირები სრულყოფილად ყოველთვის არ აღიარებენ თავიანთ პასუხისმგებლობას, შესაბამისად, საერთაშორისო ასპარეზზე ისინი წარმოდგენილნი არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე მონაწილეები. ასეთ მონაწილეებთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება ძალიან რთულია, რადგან გაუგებარია, შესრულდება თუ არა კონკრეტული ინსტიტუტების მიერ აღებული პასუხისმგებლობები. ამავე დროს, მათთან მოკლევადიანი ურთიერთობა შეიძლება ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდეს.

ტრანსნაციონალური აქტორების სტრუქტურული ორგანიზაცია მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ ხორციელდება პოლიტიკური გადაწყვეტილებები და როგორ პოლიტიკას ატარებს კონკრეტული სუბიექტი სხვებთან ურთიერთობის დროს. არსებობს ორი სახის სოციალური კომუნიკაციის ქსელი: ჰორიზონტალური (დემოკრატიული) და ვერტიკალური (იერარქიული, ავტორიტარული). ორგანიზაციის არ არსებობა ქაოტურ ურთიერთქმედებას წარმოშობს. აშკარაა, რომ ტრანსნაციონალური აქტორების შექმნილ ქსელზე, იერარქიულ თუ ჰორიზონტალურ სტრუქტურაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ პირობითად, როგორც გარკვეული ტიპის კომუნიკაციების არსებობა, რადგან იგივე „სამთავრობო ვერტიკალი“ შეიძლება შეიქმნას უკიდურესად მყარ საფუძველზე, თუმცა აღნიშნულმა შესაძლებელია ავტორიტარული რეჟიმების წარმოშობას შეუწყოს ხელი. შესაძლებელია შექმნილ იქნეს ნაკლებად ხისტი კოორდინაციის, ჰორიზონტალური კომუნიკაციების მქონე სტრუქტურა, რაც დემოკრატიული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი.

ძირითადად იერარქიულ ტიპზე მრავალი მრავალეროვნული კორპორაცია, ხოლო ჰორიზონტალურ ტიპზე თავის მხრივ სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობები გახლავთ დაფუძნებული. მაგალითად, კომუნიკაციის ორივე ტიპს საკუთარი სუსტი მხარეები და უპირატესობები გააჩნია. კერძოდ, ჰორიზონტალური ურთიერთობები ცალკეული ინდივიდების თუ ადამიანთა ჯგუფების და ა.შ. მოსაზრებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში სხვადასხვა სახის დისკუსიის გამართვისა და კოორდინაციის არსებობის შედეგად, რიგი გადაწყვეტილებების მიღება ფერხდება, ან საერთოდ არ მიიღება.

ამავე დროს, „გადაჭარბებული“ იერარქიის არსებობა, ხისტი "ვერტიკალური ძალა" განაპირობებს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა სხვადასხვა ადამიანთა ინტერესების მთელ სპექტრს არ ითვალისწინებს და, შესაბამისად, გარკვეული ჯგუფების ინტერესებს არ აკმაყოფილებს.

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური აქტორების რაოდენობის ზრდა მათ შორის ურთიერთქმედებას მსოფლიო არენაზე ართულებს. ნათელია, რომ დღევანდელ ეტაპზე მოცემული აღწერა შეუძლებელია ა. ვოლფერსის მეტაფორის მიხედვით, რომელიც მსოფლიო არენაზე შეჯახების - მაგიდაზე ბილიარდის ბურთულების შეჯახების ანალოგის შესახებ საუბრობდა. თუმცა, ადრინდელ ეტაპზეც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა არ გახლდათ მარტივი და შემთხვევითი (Wolfers, 1967). სახელმწიფოები ყოველთვის ქმნიდნენ კოალიციებს, კავშირებს, ბლოკებს და ა.შ. მოცემული ნაბიჯების გადადგმით ისინი ერთმანეთს შორის ურთიერთობებს აყალიბებდნენ. ამასთანავე, მოცემული პროცესი კიდევ უფრო გართულდა თანამედროვე პირობებში, როდესაც მსოფლიო არენაზე კონკრეტული ქმედებების და მათი შედეგების აღწერა სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით უფრო რთული ხდება. შესაბამისად, თუ გამოვიყენებთ ამ მეტაფორას, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ აქტორთა ქმედებებს მოსდევს შედეგების მთელი ჯაჭვი, რომელშიც საბოლოო შედეგების პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია. შედეგად, როგორც ერთხელ აღნიშნა ჩეხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა, მსოფლიოში შესაძლებელია ყველაფერი და ამავე დროს თითქმის არაფერი არ არის ზუსტად განსაზღვრული (ლებედევა, 2007).

თანამედროვე ტრანსნაციონალური მოთამაშეების აქტიურობა გახდა სერიოზული გამოწვევა როგორც სახელმწიფოებისათვის, ასევე მსოფლიოს ცენტრისტული მოდელისათვის. ამავე დროს, ურთიერთობები, რომლებიც მსოფლიო არენაზე სხვადასხვა მოთამაშეებს შორის ვითარდება, შესაძლებელია, როგორც ადრე, აღწერილ იქნეს ტერმინებით: თანამშრომლობა, კონფლიქტი, ნეიტრალური ურთიერთობები. ხშირად შესაძლებელია სახელმწიფოებს და სხვა ტრანსნაციონალურ მოთამაშეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს-სტრუქტურები, ხშირად არიან ჩართულნი შიდაპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების სფეროში. მოცემულ შემთხვევაში მრავალი მონაწილის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, სახელმწიფოები შეიძლება დაინტერესებულ იქნენ კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის შემცირებით, რადგანაც კონფლიქტი შეიძლება მათ ტერიტორიაზეც გავრცელდეს. თავის მხრივ, კონფლიქტის ზონა სამეწარმეო სუბიექტებისათვის, მათ მიერ ბიზნესის წარმოების მიმართულებით შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს, რადგანაც დარღვეულია სატრანსპორტო კომუნიკაციები, იზრდება პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები მიმდებარე

ტერიტორიებზე და ა.შ. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისათვის, მიზანი - კონფლიქტის დარეგულირება, მათ ძირითად დამფუძნებელ დოკუმენტებშია გაწერილი. შედეგად, კონფლიქტის მოგვარება არა მხოლოდ მრავალმხრივ, არამედ მრავალსაფეხურებიან საფუძველზე გახლავთ შესაძლებელი.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია არსებობდნენ გარკვეული ბიზნეს-სტრუქტურები, სახელმწიფოში მოქმედი ინტერესთა ჯგუფები და ა.შ. რომლებისთვისაც ხელსაყრელია კონფლიქტის განვითარება. აღნიშნულის მიუხედავად, უმრავლესობას წარმოადგენენ ის მხარეები, რომლებიც კონფლიქტის დარეგულირებით არიან დაინტერესებულები, ხოლო მათთან თანამშრომლობა სხვადასხვა მხრიდან ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა მოთამაშეს სხვადასხვა უპირატესობა თუ მოტივაცია გააჩნია.

ასევე რიგ შემთხვევებში აღინიშნება თვით ტრანსნაციონალურ აქტორებს შორის წინააღმდეგობათა სხვადასხვა ვარიანტი. მაგალითად, იმ ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესები, რომლებიც ქიმიური მრეწველობის დარგში ეწევიან თავიანთ მოღვაწეობას, წინააღმდეგობაში მოდის იმ არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკასთან, რომლებიც გარემოს დაცვის სფეროში არიან ჩართულნი. სხვათა შორის, ეკოლოგია წარმოადგენს ზუსტად იმ სფეროს, რომლის მაგალითზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს სხვადასხვა აქტორთა ინტერესების გადაკვეთა - მათ შორის სხვადასხვა სახელმწიფოს (ასევე სახელმწიფოს შიგნით მოქმედი სხვადასხვა ჯგუფების), სხვადასხვა კორპორაციის, არასამთავრობო ორგანიზაციების და ა.შ. მხრიდან. ასევე შესაძლებელია იმ შემთხვევის წარმოდგენა, როდესაც სხვადასხვა ტრანსნაციონალური აქტორი ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად ეწევა თავის საქმიანობას, თუმცა მათი ინტერესები ერთმანეთთან არ იკვეთება.

ცხადია, რომ არსებობს ურთიერთობათა მრავალფეროვნება მსოფლიო არენაზე სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო, ტრანსნაციონალურ აქტორთა შორის ურთიერთობათა ფარგლებში. ამავე დროს, როგორც აღნიშნავს ტ. რისე, არასამთავრობო ორგანიზაციები კარგად ადაპტირდებიან ეროვნულ პირობებთან, ამიტომაც, მაგალითად Honda აშშ-ში განსხვავდება იაპონიაში მოქმედ მისი დედობილი კომპანიისაგან, თუმცა ამავე დროს იგი განსხვავდება ამერიკელი ავტომწარმოებლებისაგან, მაგალითად ისეთებისგან, როგორიცაა Ford და General Motors (ჩიტაძე, 2016). რა აძლევს აღნიშნულ სუბიექტებს ასე ადვილად ადაპტირების საშუალებას? ან საკითხი შესაძლებელია სხვანაირად დაისვას: დასაშვებია თუ არა ყოველთვის დემოკრატიული მშვიდობის თავისებური პროექცია სხვადასხვა აქტორების ურთიერთქმედების ფარგლებში? სხვა სიტყვებით, იქნებიან თუ არა ორი ტრანსნაციონალური აქტორი, რომლებიც უპირატესად ჰორიზონტალურ პრინციპებზე მოქმედებენ, თავიანთი პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში ერთმანეთის მიმართ მეგობრულად განწყობილნი და შეეცდებიან თუ არა ისინი რომ ყოველგვარი

წინააღმდეგობა მათ შორის მოლაპარაკებათა გზით იყოს გადაწყვეტილი? აშშ-ის, როგორც დემოკრატიული ქვეყნის და „ალ-ქაედას“ (ორგანიზაცია, რომელიც ქსელური პრინციპითაა აგებული) ურთიერთობების მაგალითი ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა. შესაბამისად, მხოლოდ ორგანიზაციის პრინციპები არ არის საკმარისი, ასევე აუცილებელია ღირებულებათა ერთიანი სისტემის არსებობა.

ყველაფერი ზემოაღნიშნული და მრავალი სხვა საკითხი წარმოადგენს იმ სფეროს, რომელიც საკუთარ მკვლევარებს ჯერ კიდევ ელოდება. საკუთრივ, ეს გახლავთ ტრანსნაციონალური დონე, რომლის შესახებაც წერდა ჯ.ნაი, როდესაც იგი თანამედროვე მსოფლიოში არსებული პოლუსებისა და ცენტრების ანალიზს ახდენდა (Nye, 2004).

4. მსოფლიოს ახალი პოლიტიკური სისტემის კონტურები და მასზე გადასვლის სცენარები

მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემაში მომხდარ ცვლილებებს მისი მთლიანად შეცვლა ჯერ კიდევ არ გამოუწვევია. ვესტფალიის მოდელი აგრძელებს თავის არსებობას და რთულია თუნდაც ვივარაუდოთ, რომ იგი თავის არსებობას შეწყვიტავს.

თანამედროვე პერიოდში ხარისხობრივი ცვლილებების პროცესი შეიმჩნევა, რომელიც უკავშირდება სისტემის ხასიათის, მათ შორის მსოფლიო მოწყობის როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე საგარეოპოლიტიკური მოწყობის თვალსაზრისით შცვლას. მსგავსი გადასვლა გარდაქმნის სიღრმისეულობის მიხედვით შეიძლება ვესტფალიის მსოფლიო სისტემის ფორმირების პროცესთან იქნეს შედარებული. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით რამდენიმე მკვლევარის მიერ წარმოდგენილ იქნა საინტერესო პარალელი მე-17 საუკუნის შუა პერიოდს - როდესაც ვესტფალიის მსოფლიო მოდელი ფორმირდებოდა და მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისს შორის. კ. ჰოლსტი აღნიშნავდა, რომ პირველ შემთხვევაში ევროპა, რომელიც კულტურული თუ ცივილიზაციური პარამეტრებით ერთიანი იყო (პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის კონფლიქტის შემდეგ), პოლიტიკურად დანაწევრებული აღმოჩნდა. მეორე შემთხვევის დროს, ეკონომიკური ინტეგრაციის უკიდურესი გაძლიერების პერიოდში, მსოფლიო - თავისი პოლიტიკური ურთიერთობების ფარგლებში 180-ზე მეტი სახელმწიფოთი იყო წარმოდგენილი. თუ ჩვენ ერთმანეთს შევადარებთ ამ ორ ისტორიულ პროცესს და გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელ ეტაპზე დისკუსია მსოფლიოს მოწყობის შესახებ არა მხოლოდ ერთ კონტინენტზე, როგორც ეს იყო ადრე, არამედ რეალურად ეს პროცესი გლობალურ დონეზე მიმდინარეობს, ცხადი ხდება, რომ დღევანდელი გარდამავალი პერიოდი გახლავთ უფრო მნიშვნელოვანი და რთული (Holsti, 2004).

დამთხვევათა უფრო მეტი ხარისხი განსაზღვრულ იქნა ჩ. კეგლისა და ჯ. რაიმონდის წიგნში „ვესტფალიის უწმინდური ძალის განდევნა: მსოფლიო წესრიგის შექმნა ახალ ათასწლეულში“ (Exorcising the Ghost of Westphalia: Building World Order in the New Millennium), რომელიც 2002 წელს იქნა გამოცემული. იგი განსაზღვრავს XVII საუკუნის შუა პერიოდს და XX საუკუნის ბოლოს როგორც მსოფლიო ისტორიაში გარდამტეხ მომენტებს, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობათა ერთი მოდელი მეორით იცვლებოდა. ორივე პერიოდისათვის ცვლილებები პოლიტიკურ ცხოვრებაში და მრავალი ახალი პრობლემების გამოჩენაა დამახასიათებელი. მოცემული და სხვა პერიოდებისათვის ასევე დამახასიათებელია „ცივილიზაციათა შეჯახება“, მორალურ ღირებულებებსა და შეხედულებებს შორის წინააღმდეგობა. შემდგომ პერიოდებში ასევე აღინიშნება მსხვილი ეროვნული წარმონაქმნების უფრო წვრილ სუბიექტებად დაშლის პროცესი და ა.შ. (Kegley, Raymond, 2002).

„გლობალური გადასვლის“ პერიოდი სხვადასხვა ხარისხით სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებს მოიცავს. ამავე დროს, ობიექტური პროცესები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს, რომელიღაც რეგიონში უფრო მცირე, ხოლო სადღაც უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება. ეს პერიოდი მკვეთრად წინააღმდეგობრივია, რაც გამოიხატება ფენომენში, რომელსაც შესაძლებელია ტრანზიტულობის პარადოქსი ეწოდოს. ერთის მხრივ, ძველი კანონზომიერებები და ნორმები აგრძელებენ საქმიანობას, ხოლო მეორეს მხრივ ერთდროულად ახალი პრინციპები და ნორმები ჩნდებიან.

როდესაც ჩვენ განვიხილავთ საკითხს, რომ არსებობს ბევრი საერთო იმ სიტუაციას შორის, რომელიც ერთის მხრივ ევროპაში მე-17 საუკუნის შუა პერიოდში შეიქმნა და მეორეს მხრივ მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისის მსოფლიოში იქნა ჩამოყალიბებული, კერძოდ, შეხედულებათა და ფასეულობების შეჯახება და ა.შ. ჩნდება კითხვები, თუ რა პარალელები შეიძლება არსებობდეს ამ ორ პერიოდს შორის? რითი განსხვავდებიან ისინი პრინციპურად ერთმანეთისაგან?

თანამედროვე პირობებში ტრანზიციის პარადოქსს ორი შემადგენელი გააჩნია - ვესტფალიის და იალტა-პოტსდამის. ეს უკანასკნელი ვესტფალიის შემადგენელ ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ, რაც დაკავშირებულია მის (იალტა-პოტსდამის სისტემის) როგორც საერთაშორისო, ასევე არასაერთაშორისო სფეროსთან.

ვესტფალიის სისტემის პარადოქსი ასახვას ჰპოვებს სახელმწიფო სუვერენიტეტის ცვლილებების პროცესებთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებთან (დაკარგვა ერთის, და ახალი ფუნქციების გამოჩენა), არასახელმწიფო აქტორების როლთან, და ასევე ურთიერთკავშირების გაძლიერებასთან. საზღვრების გამჭვირვალობა და ურთიერთკავშირების განსაზღვრა უბიძგებს სახელმწიფოებს სულ უფრო მეტი რეაგირება

მოახდინონ იმ პროცესებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს, განსაკუთრებით, თუ ისინი კონფლიქტებთანაა დაკავშირებული. ამავე დროს, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა და გარედან სუვერენიტეტის შეზღუდვა (რაც ნათლად გამოჩნდა რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის დროს, ასევე გასული საუკუნის 90-იან წლებში გაეროს მიერ მიღებულ სანქციებში ერაყის წინააღმდეგ), რიგ შემთხვევებში სხვა სახელმწიფოებს აიძულებს საკუთარი ეროვნული ინტერესები მაქსიმალურად „დაიცვან". აღნიშნულმა ფაქტორმა სხვადასხვა დროს შესაძლოა სახიფათო ფორმა მიიღოს. მაგალითად, ამ ფაქტორმა შესაძლებელია მისცეს მოტივაცია არაბირთვულ სახელმწიფოებს შეიმუშავონ ბირთვული პროგრამები საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნის მიზნით (მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ირანის ბირთვული პროგრამა). შედარებით „უფრო იაფი" ვარიანტის შემთხვევაში, მათ შესაძლებელია ორიენტაცია ქიმიური იარაღის გამოყენებაზე აიღონ (სირიის მაგალითი).

იალტა-პოტსდამის სისტემიდან გადასვლის პარადოქსი დაკავშირებულია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ცვლილებასთან „ცივი ომის" დასრულების შემდგომ პერიოდში. პირველ რიგში, საუბარი მიმდინარეობს ბიპოლარობის შესახებ, რომლის ფორმირებაც მოხდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და რომელიც გახდა ერთგვარი „ბირთვი" ომის შემდგომ პერიოდში ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის შექმნის პროცესში. ამავე დროს, ბიპოლარობის გაქრობასთან ერთად, წინა სისტემის გარკვეული ელემენტები მაინც დარჩა, მათ შორის საერთაშორისო შეთანხმებების ხელმოწერა, რომელიც თავის მხრივ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილიზაციის ფაქტორს წარმოადგენს. ამ მიმართულებით იალტა-პოტსდამის სისტემა ბიპოლარული მსოფლიო მოწყობის უფრო ფართო ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ.

სხვა პრობლემა გაცილებით უფრო რთულია. მსოფლიო ისტორიის წინა პერიოდებში დიდი ომები ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის შესახებ მოლაპარაკებებით სრულდებოდა (ასე შეიქმნა „ევროპული კონცერტი", ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალ-ვაშინგტონის და იალტა-პოტსდამის სისტემები). მე-20 საუკუნის ბოლოს მსგავსი პროცესები არ განვითარებულა. „ცივი ომის" შედეგებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები არ იყო გამართული. აღნიშნულის მიზეზი გახლდათ იმის ახსნის სირთულე, თუ როგორი ფორმით უნდა მომხდარიყო ასეთი ტიპის მოლაპარაკებათა ორგანიზება; როგორი უნდა ყოფილიყო დღის წესრიგი; ვინ უნდა ყოფილიყვნენ მონაწილეები; როგორი ფორმით უნდა მომხდარიყო იმ არასახელმწიფოებრივი სუბიექტების ინტერესების გათვალისწინება, რომლებსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური წონა გააჩნიათ და ა.შ. სხვა სიტყვებით, ეს გახლავთ „ორ ტრანზიციას" შორის - საერთაშორისო ურთიერთობების სისტემასა და მსოფლიოს პოლიტიკური სისტემას შორის დამთხვევა. „გლობალური გარდამავალი

პერიოდის“ პროცესი სხვადასხვა მეთოდებითაა აღწერილი: როგორც გაურკვევლობის ეპოქა, გარდატეხვის მომენტი და გარდაქმნის პერიოდი. ჯ. როზენაუ, რომელიც ფიზიკის მეტაფორებს იყენებს, თანამედროვე პერიოდს ტურბულენტობის პერიოდს უწოდებს, რაც განსაკუთრებით უკავშირდება მომენტს, რომლის შემდეგ მოვლენები შესაძლოა სხვადასხვა მიმართულებით და სცენარით განვითარდეს (Rosenau, 1990).

ჯ. როზენაუს აზრით, დღევანდელ დღეს თვითონ მნიშვნელობა „საერთაშორისო ურთიერთობები“ თავის პირველად ცნებას კარგავს, რადგანაც თავის დროზე ის ფაქტიურად სახელმწიფოთაშორისო ურთიერთკავშირებთან ასოცირდებოდა, რადგანაც იმ სისტემებთან ერთად, რომლებშიც არასახელმწიფო და ზესახელმწიფოებრივი სუბიექტები აქტიურად მონაწილეობენ, როდესაც ისინი ქმნიან პოლიცენტრულ მსოფლიოს (ე.ი. ისეთს, რომლებშიც მრავალი თავისი ხასიათით სხვადასხვა ცენტრები ერთ ქსელში არიან გაერთიანებულნი), ასევე არსებობს სახელმწიფო-ცენტრისტული მსოფლიო. ახალი მოვლენების აღწერის მიზნით კი შემოთავაზებულია ტერმინი „პოსტ-საერთაშორისო ურთიერთობები“, ანალოგი იმისა, როგორც დამატება „პოსტ“ გამოიყენება ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა „პოსტინდუსტრიული ეპოქა“, „პოსტმოდერნიზმი“, „პოსტიდეოლოგიური საზოგადოება“, „პოსტბიპოლარული“ მსოფლიო“ და ა.შ. ამ შემთხვევაში ახალი ფორმირების ძირითადი პრინციპები რთულია განსაზღვრო (Rosenau, 1997).

პოლიცენტრული ცენტრის იდეას, რომელშიც ტრანსნაციონალური აქტორები სხვადასხვა ტრანსნნაციონალურ ცენტრებს აყალიბებენ, რომლებიც თავის მხრივ ერთმანეთთან ურთიერთობათა ქსელით არიან დაკავშირებულები, აქტიურად მხარს უჭერენ სხვადასხვა ავტორები, მაგალითად ს. ანდერსონი და მისი კოლეგები წიგნში „ველი. გლობალური ეკონომიკის გზამკვლელი“ (Field. Guide to the Global Economy) (Anderson, 2005). მათი რეალობის ანალიზი დიდწილად ეკონომიკის სფეროსთანაა დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იდეა, რომელიც მოცემული პოზიციის საფუძველში არსებობს, გაცილებით უფრო ფართოა. მისი კონცეფცია დაკავშირებულია იმასთან, რომ პროცესები მიმდინარეობს შედარებით მცირე ტერიტორიებზე - სამრეწველო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ფინანსური და ჩვენი პლანეტის სხვა სტრუქტურების ურთიერთობათა „გადაკვეთაზე“. სწორედ აქ იქმნება შესაბამისი ქსელები, რომლებიც ქმნიან გასასვლელს (კარიბჭეს) გლობალურ სამყაროში. შედეგად, სხვადასხვა გეოგრაფიული წარმონაქმნები (ქალაქები და მცირე ტერიტორიები) პოსტ-ვესტფალური ეპოქის მსოფლიოში სხვადასხვა საშუალებით „ინტეგრირდებიან“. ერთ-ერთნი, მათ შორის ნიუ-იორკი, ლონდონი, ტოკიო, ვაშინგტონი, სამხრეთ კალიფორნია, ფრანკფურტი, მილანი, მაიამი, ვანკუვერი, სინგაპური და ა.შ. გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის „წინა ხაზზე“ იმყოფებიან. ზემოაღნიშნული ტერიტორიების მრავალფეროვნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მათ შორის საერთო გახლავთ ის, რომ მათ შიგნით საერთაშორისო ქსელების - ფინანსური,

სამეცნიერო, კულტურული და სხვა, კომუნიკაციასთან, ინფორმაციასთან, ცოდნასთან, განათლებასთან დაკავშირებულ სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირი ხორციელდება. საერთო ჯამში, აღნიშნული ინსტიტუტები პოსტინდუსტრიული მსოფლიოს ატრიბუტებს წარმოადგენენ.

მოცემული გადაკვეთის ცენტრები შეიძლება იყვნენ როგორც ეროვნული, ასევე რეგიონალური მასშტაბის. მაგალითად, პარიზი, დ. ანდერსონისა და კ. სასაკის აზრით, არ შედის, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე პერიოდისთვის, გლობალური მსოფლიოს „ქალაქ-კარიბჭეში“ და დღევანდელ ეტაპზე ეროვნულ დონეზე რჩება. აღნიშნული მეცნიერები თვლიან, რომ პარიზი არ გახლავთ შესაბამისად განვითარებული ქალაქი, რომელიც საფრანგეთის სხვა რეგიონებისაგან შედარებით უკეთესადაა დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკასთან, თუმცა ის პირველ რიგში გახლავთ საფრანგეთის კარიბჭე ევროპაში (ჩიტაძე, 2024).

„ტერიტორია-კარიბჭე“ პოსტინდუსტრიული ეპოქის ახალ სტანდარტებს აყალიბებს, რომელიც იძულებულია სხვა ტერიტორიული ერთეულების მაგალითები გაითვალისწინოს. ამავე დროს, ისინი მოქალაქეებს ძალზე მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, ითხოვენ რა მათგან ძალების მაქსიმალურ კონცენტრაციას ყველა შესაძლო შედეგების გათვალისწინებით. ამასთანავე, ინდუსტრიული სისტემა არსად არ გაქრება და შემდგომ ეკონომიკურ სისტემაში მთლიანად ინტეგრირებული არ იქნება.

„კარიბჭე-ტერიტორიის“ მოდელი შესაძლებლობას იძლევა განხილულ იქნეს კონკრეტული ანალოგი იმ როლთან, რომელსაც როგორც ურთიერთქმედების სპეციფიური „ერთეულები“, მსოფლიოს სხვა რეგიონებთან ერთად ასრულებდნენ -ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოები ანტიკურ პერიოდში და იტალიური ქალაქები შუა საუკუნეების განმავლობაში. ამავე დროს, „ტერიტორია-კარიბჭის“ მოდელი გეოპოლიტიკის გარკვეულ ალტერნატივას წარმოადგენს, თუმცა როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ტერიტორიულ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, გეოპოლიტიკის ფარგლებში მთავარ სივრცედ ეროვნული სახელმწიფოების მთლიანი ტერიტორია განიხილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური მოდელი, „გლობალური სამყაროს კარიბჭისაგან“ განსხვავებით, რჩება ვესტფალიის სისტემის ფარგლებში.

გარდა კითხვისა, თუ რა შეიძლება იქნეს განხილული ვესტფალიის მსოფლიო მოდელის და შესაბამისად საერთაშორისო ურთიერთობების ომისშემდგომი მოდელის ალტერნატივად,

ისმის კითხვა, თუ რა პროცესების ფარგლებში და როგორ განვითარდება აღნიშნული ცვლილება.

განვიხილოთ მსოფლიოს ახალ პოლიტიკურ წესრიგში და საერთაშორისო ურთიერთობების ახალ სისტემაში ტრანსფორმაციის სამი განსხვავებული სცენარი.

პირველი შედარებით მარტივ გარდამავალ პროცესთანაა დაკავშირებული. საინტერესოა, რომ აღნიშნული სცენარების პრინციპებს იზიარებენ როგორც ნეორეალისტური სკოლის წარმომადგენლები, ასევე რადიკალი ნეოლიბერალებიც. პირველი ჯგუფისათვის თანამედროვე პოლიტიკურ მსოფლიოში ხარისხობრივი ცვლილებების არარსებობა ყოველგვარი „ნახტომების“ გარეშე ევოლუციურ განვითარებაზე მიანიშნებს. მეორე ჯგუფისათვის, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ფრენსის ფუკუიამა განიხილება, ლიბერალური ფასეულობების დომინირება დიდ შეჯახებების აცილების გარანტს წარმოადგენს (Fukuyama, 1996).

ეს უკანასკნელი სცენარი კრიტიკის ქვეშ მრავალჯერ მოექცა. ერთის მხრივ, რადიკალი ლიბერალების კონცეფციის უარყოფა უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ის პოლიტიკური პროცესების რეალურ განვითარებას ვერ ასახავს. მაგალითად, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ომები არ გამქრალა; მეორეს მხრივ, ყურადღება გამახვილებული იყო მსოფლიოს ხარისხობრივ ცვლილებებთან, რომელიც მსოფლიო არენაზე ახალი აქტორების აქტიურ გამოჩენასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე, აღნიშნული სცენარი, ნეოლიბერალების პოზიციის მიხედვით, მნიშვნელოვანწილად ასახავს აღნიშნული გარდაქმნის საბოლოო შედეგს და არა მოცემული პროცესის შესაბამის ეტაპებს, რომლებზეც თავის ნაშრომებში ყურადღებას ფ. ფუკუიამა ამახვილებს.

გარდამავალ პერიოდთან, ასევე მსოფლიოს მომავალ პოლიტიკურ წყობილებასთან დაკავშირებულ აბსოლუტურად განსხვავებულ პროგნოზს გვთავაზობენ მკვლევარები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სხვა ძალებს შორის გლობალურ დაპირისპირებაზე მიუთითებენ. ამავე დროს, საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა სკოლის ფუნდამენტი ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგალითად, სამუელ ჰანტინგტონი თავის ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება“ მსოფლიოში სხვადასხვა ცივილიზაციების არსებობის და მათ შორის შესაძლო დაპირისპირებაზე საუბრობს. კერძოდ, მეცნიერის აზრით არსებობენ დასავლური, ლათინოამერიკული, კონფუციანისტური, აფრიკული, ისლამური, ჰინდური, მართლმადიდებლური, სინთოისტური ცივილიზაციები (ჰანტინგტონი, 1993). თავის მხრივ, მკვლევარმა ა. ტოფლერმა გამოყო სხვა შესაბამისი ცივილიზაციები და მათთგან დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის ეტაპები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეტაპები (Toffler, 1995). ი. ვალერსტაინმა გაანალიზა მსოფლიოს რეგიონების სოციალ-ეკონომიკური განვითარების

დონეები, კერძოდ - მაღალი, საშუალო და დაბალი, რომელთა საფუძველზე ცენტრი, ნაწილობრივი პერიფერია და პერიფერია განიხილა (Wallerstein, 2001); მეცნიერი ა. ნეკლესი ექვს სივრცობრივ-ეკონომიკურ ზონას განსაზღვრავს, მათ შორის - ჩრდილოატლანტიკურ, წყნარი ოკეანის, ევრაზიულს და „სამხრეთის“, რომელიც ძირითადად ინდოეთის ოკეანის მიმდებარე რეგიონებში მდებარეობს, და ასევე ორი ტრანსნაციონალური ოლქი, სფერო, რომელიც გეოგრაფიული სივრცის ფარგლებს გარეთ იმყოფება (ჩიტაძე, 2016).

ყველა ზემოაღნიშნული მიდგომების ფარგლებში - რომელიც მსოფლიო დიფერენციაზე ამახვილებს თავის ყურადღებას, განსაკუთრებული ადგილი რეალურ ან პოტენციურ კონფლიქტებს ეთმობა.

როგორც ინგლისელი მკვლევარი კ. ბუსი აღნიშნავდა: „შესაძლებელია, რომ ახალი საუკუნე უფრო არასტაბილურ შუა საუკუნეების პერიოდს დაემსგავსება ვიდრე სტატიკურ მე-20 საუკუნეს, სადაც ორივე პერიოდის გაკვეთილები იქნება მხედველობაში მიღებული“ (ლებედევა, 2007).

ამასთანავე, მოვლენათა განვითარების ეს სცენარიც კრიტიკის ქვეშ ექცევა. აღნიშნულის ერთ-ერთი ახსნა გახლავთ ის, რომ კაცობრიობას თვითგადარჩენის და თვითშენარჩუნების გარკვეული შეგრძნება გააჩნია და ის ამა თუ იმ მიზეზის გამო არ დაუშვებს გლობალურ კონფლიქტს, რომელმაც შესაძლებელია ნებისმიერი ცივილიზაციის დაღუპვამდე მიგვიყვანოს. გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ განხეთქილებისათვის რამდენიმე სხვადასხვა საფუძველი არსებობს, მაგრამ ამასთანავე „გადაკვეთის“ წერტილებიც სახეზეა. სხვა სიტყვებით რომ ავღნიშნოთ, ერთი და იგივე ადამიანი შესაძლებელია იყოს ერთდროულად რამდენიმე ჯგუფის წევრი (მაგალითად პროფესიული და ბუდისტური და ა.შ.), რაც ასე თუ ისე კონფლიქტის წარმოშობის ალბათობას ამცირებს.

საბოლოო, „გლობალური გარდაქმნის“ მესამე მიდგომის ფარგლებში, არსებობს გარკვეული მცდელობები გათვალისწილებულ იქნეს ტენდენციები, ერთის მხრივ მსოფლიოს გაერთიანების, ხოლო მეორე მხრივ მისი დანაწილების - რომელიც სხვადასხვა წინააღმდეგობებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილების თუ სფეროების ფრაგმენტაციას უკავშირდება. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ორივე ტენდენციის განვითარებას ერთდროულად მიაქცია ყურადღება, გახლდათ ბ. ბარბერი.

1990-იანი წლების დასაწყისში მან შეამჩნია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული იყო „ემ-ტი-ვის“-ის, „მაკდონალდსის“, „მაკინტოშის“ (MTV, McDonalds, Macintosh) უნიფიცირებული ფორმები, რომლებიც გარკვეულ გლობალურ მსოფლიოს, ანუ „მაკ-მსოფლიოს“ («McWorld» - გლობალური სამყაროს ძირითადი სიმბოლოების პირველი ასოების მიხედვით) წარმოადგენდნენ. ამავე დროს, შეინიშნება საპირისპირო ტენდენციაც,

რომელიც თავის განსახიერებას ჰპოვებს სეპარატისტულ მოძრაობებში, ეთნიკურ თუ კონფესიურ კონფლიქტებში. აღნიშნულ მიმართულებას მკვლევარმა „ჯიჰადი“ უწოდა. ს. ჰანტინგტონის კონცეფციისგან განსხვავებით, როდესაც ეს უკანასკნელი „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ საუბრობდა, ბ. ბარბერი გლობალურ მსოფლიოთან „ჯიჰადის“ შეჯახების შესახებ საუბრობს. მისი ნაშრომის სათაურია: „ჯიჰადი მაკ-მსოფლიოს (McWorld) წინააღმდეგ“. ორი ავტორის შეხედულებებს შორის კიდევ ერთი განსხვავება უკავშირდება იმ ფაქტს, რომ თუ პირველისთვის (ჰანტინგტონი) მოცემული პროცესი გარკვეულწილად გლობალურ ხასიათს ატარებს, მეორისთვის (ბარბერი) ანალოგიური მოვლენა უფრო ლოკალურ ჭრილში განიხილება, რომელიც ჩვენი პლანეტის მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს მოიცავს (Barber, 1996).

ბ. ბარბერის მოსაზრებებს - რომელიც ერთდროულად ორი საპირისპირო ტენდენციის განვითარების შესახებ მიუთითებს, სხვადასხვა მიმდევარი გამოუჩნდა, რომლებმაც მოცემულ თემაზე დისკუსიები დაიწყეს. ასე მაგალითად, სტოკჰოლმის მსოფლიოს მშვიდობის საკითხების შემსწავლელი ინსტიტუტის (SIPRI) დირექტორი ა.დ. როტფელდი აღნიშნავდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებული ურთიერთობები არა მხოლოდ ცენტრისკენული, არამედ ცენტრიდანული პროცესებით განისაზღვრება (Rotfeld, 2001). მეცნიერმა ა. როზენაუმ აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოებას ორი სპეციალური ტერმინის გამოყენება შესთავაზა „ფრაგმენტაცია“ და „ინტეგრაცია“. (Rosenau, 1990). ანალოგიურად, შექმნილ იქნა ახალი ტერმინი „გლოკალიზაცია“, რომელიც აღნიშნულ მოვლენებს განიხილავს და რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა. სამეცნიერო ბრუნვაში ეს ტერმინი შემოიტანა რ. რობერტსონმა, რომელმაც 1995 წელს მოცემული სათაურით სტატიაც კი გამოაქვეყნა (Robertson, 2012). გლოკალიზაციაში გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესებმა ერთდროულად ჰპოვეს თავიანთი განსახიერება.

5. მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შესახებ არსებული მოსაზრებები

ახალი მსოფლიო წესრიგი (ლათ. Novus ordo mundi) - გახლავთ ტერმინი, რომელიც პოლიტიკაში გამოიყენება იმ მიზნით, რომ აღწერილ იქნეს სხვადასხვა მოვლენა თანამედროვე პერიოდში და გაკეთებულ იქნეს პროგნოზი ისეთ მომავალზე, რომელიც მსოფლლიო პოლიტიკურ წესრიგს უკავშირდება. თუმცა, აღნიშნულ ტერმინს რაიმე საერთო განსაზღვრება არ გააჩნია.

მოცემული ტერმინს ხშირად შეცდომით უკავშირებენ ლათინურ დევიზს «Novus ordo seclorum» (სწორი თარგმანია: ახალი საუკუნის წესრიგი, ახალი ერა, ახალი ეპოქა). თავის მხრივ, ის თავისი ფესვებით მიდის რომაელი მეცნიერის ვირჯილიოს მიერ წარმოდგენილ

კონცეფციასთან: Magnus ab integro saeclorum nascitur ordo – „ახალი დრო აყალიბებს დიდ წესრიგს“ (ჩიტაძე, 2016).

კიპლინგისა და ჰაკსლის მიერ შემოთავაზებული სიტყვების ირონიული კომბინაცია „მშვენიერი ახალი სამყარო“ და „გასაოცარი ახალი სამყარო“ ერთგვარ კონკურენციას უწევენ ანტიკურ პერიოდში არსებულ იდეებს, რომელთაც უკვე ანტიუტოპიური ხასიათი გააჩნიათ (ჩიტაძე, 2016).

მსოფლიო წესრიგი - ეს არის საგარეო საქმიანობის სფეროში არსებული მდგომარეობა, ან მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოთა თანამეგობრობის იმ მიზნების მდგრადობას, რომელიც ერთის მხრივ ელემენტარულად მნიშვნელოვანია, მეორეს მხრივ სასიცოცხლოდ აუცილებელი და მესამეს მხრივ, ყველასათვის საერთო (IGI Global, 2023).

ეს ტერმინი პოლიტოლოგთა სამეცნიერო ბრუნვაში შემოთავაზებულ იქნა ჰედლი ბულის მიერ 1977 წელს (Bull, 1977), თუმცა თავის მხრივ უნივერსალური წესრიგი გაცილებით ადრეულ ეტაპებზე იქნა ფორმირებული.

ტრადიციულად მსოფლიო წესრიგის სხვადასხვა ისტორიულ ფორმებს გამოყოფენ:

ვესტფალიის წესრიგი (1648-1815) - ვესტფალიის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შედეგად შეიქმნა. მოცემული წესრიგის ფარგლებში შემუშავებულ იქნა სახელმწიფოთა - როგორც მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო სისტემის დომინირებადი ელემენტების სტატუსი. მსოფლიო წესრიგმა როგორც უშუალოდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მიმართულებით დაიწყო ფორმირება. მოცემულ შემთხვევაში ცნების „მსოფლიო“ ფარგლებში პირველ რიგში საჭიროა აღქმულ იქნეს ევროპული წესრიგი, რადგანაც მოცემული სისტემა მსოფლიოს სხვა რეგიონებს თითქმის არ ეხებოდა.

ვენის წესრიგი (1815-1918) – 1815 წელს ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ ვენის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე იქნა შექმნილი. მოცემული მსოფლიო მოწყობის მთავარ მოთამაშეებად გვევლინებოდნენ დიდი ქვეყნები - სუვერენული სახელმწიფოები, რომლებსაც მსოფლიო პოლიტიკაში სხვა ქვეყნებზე უფრო მეტი გავლენა გააჩნდათ. შედეგად, აღნიშნული წესრიგი გახდა საფუძველი კოლონიალიზმის ეპოქის დაწყების და მან იმპერიების საბოლოო ფორმირებას შეუწყო ხელი. მსოფლიო წესრიგი დიდწილად გახდა ფაქტიურად უნივერსალური, რისი ძირითადი მიზეზიც გახლდათ კოლონიური იმპერიების გავლენის გავრცელება მსოფლიო სხვადასხვა რეგიონზე.

ვერსალის (ვერსალ-ვაშინგტონის) წესრიგი (1918-1939 წწ.) პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იქნა ჩამოყალიბებული, ხოლო მისი ძირითადი პრინციპები 1919 წელს ვერსალის

სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგად იქნა განსაზღვრული. ინსტიტუციურად გამყარებულ იქნა პოლიცენტრიული მსოფლიო, რომელშიც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება და მათი რეალიზაცია დიდ ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმების მიღწევის შედეგად ხორციელდებოდა, თუმცა ამავე დროს პატარა ქვეყნების ინტერესებიც იქნა გათვალისწინებული. დაფუძნებულ იქნა ერთა ლიგა - ინსტიტუტი, რომლის მიზანსაც არსებული მსოფლიო წესრიგის მხარდაჭერა წარმოადგენდა, რათა არ მომხდარიყო საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაცია მისი რომელიმე ელემენტის მხრიდან. თუმცა, ეს სისტემა არასაკმარისად ეფექტური აღმოჩნდა, რომლის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა ინტერესები საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესებზე უფრო მაღლა იდგა.

იალტა-პოტსდამის სისტემა (1945-1991) - 1945 წელს იალტაში და პოტსდამში გამართული კონფერენციების, ასევე გასული საუკუნის ბოლოს განვითარებული ომისშემდგომი რეგულირების პროცესის ფარგლებში იქნა ჩამოყალიბებული. პირველად მოხდა მსოფლიო მოწყობის სტრუქტურის შეცვლა პოლიცენტრულიდან, ბიპოლარული, ორპოლუსიანი სისტემის მიმართულებით. მსოფლიო დაყოფილ იქნა ორ ანტაგონისტურ ცენტრად, პირობითად ამერიკულ და საბჭოთა ბლოკებად. მისი უნიკალურობა ასევე მსოფლიო პოლიტიკაში ბირთვული ფაქტორის გამოჩენისა და მისგან მომდინარე მოვლენების განვითარებით იყო განპირობებული. ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, მსოფლიო მოწყობის აღნიშნული ფორმა ყველა ადრე არსებულ ფორმებთან შედარებით ყველაზე მდგრად ფორმას წარმოადგენდა.

პოსტბიპოლარული ეპოქა (1991-2000) - საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო კომუნისტური სისტემის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შედეგად იქნა ჩამოყალიბებული. პირველ ეტაპზე ის ხასიათდებოდა როგორც მონოცენტრისტული ფორმა - რაც აშშ-ის დომინირებადი როლით განისაზღვრებოდა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ამერიკული პოლიტიკის სწრაფი აქტივიზაციით მტკიცდებოდა, მათ შორის - ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთში, ერაყში, ავღანეთში და ა.შ. თუმცა მოგვიანებით, ჩინეთისა და ევროკავშირის, ასევე ნაწილობრივ რუსეთის გაძლიერების შედეგად, მოცემულმა სისტემამ ეტაპობრივად ცვლილებები განიცადა და თავისი არსებობა დე-ფაქტო შეწყვიტა.

თანამედროვე მსოფლიო წესრიგი - თანამედროვე პერიოდში მსოფლიო წესრიგი ხასიათდება ერთის მხრივ როგორც შედარებით მონოცენტრისტული, სადაც ამავდროულად ძალთა სხვა მნიშვნელოვანი ცენტრები არსებობს, მეორეს მხრივ როგორც პოლიცენტრისტული. მსოფლიო წესრიგი - საკმაოდ აბსტრაქტული ცნებაა, რასთან დაკავშირებითაც სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები მის შესახებ სხვადასხვა პოზიციიდან გამომდინარე საუბრობენ.

გავანაალიზოთ სხვადასხვა ავტორთა პოზიციები:

ანა-მარი სლოტერის აზრით, ფორმირებადი მსოფლიო წესრიგი შესაძლოა დახასიათებულ იქნეს როგორც არააგრესიული, სადაც მიმდინარეობს სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია, ამავე დროს, ქვეყნები მსოფლიო არენაზე აგრძელებენ მოქმედებას როგორც ცენტრალიზებული, სუვერენული წარმონაქმნები, თუმცა თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით, სახელმწიფოთა ინტეგრაციამ გლობალურ სისტემაში შედარებით განსხვავებული ფორმები მიიღო. სახელმწიფო კვლავ გვევლინება მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს აქტორად, მაგრამ ის ინსტიტუტები, რომლებიც სახელწიფოთა შემადგენლობაში შედიან, თავიანთი ფუნქციების შესრულების ფარგლებში სახელმწიფოთა სრული კონტროლიდან გამოდიან, ისინი იძენენ შედარებით დამოუკიდებლობას და სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში შემავალ ანალოგიურ ინსტიტუტებთან ურთიერთქმედებენ. შესაბამისად, სხვადასხვა სტრუქტურებს შორის ფორმირდება ქსელები, რომლებიც მთელ მსოფლიოს მოიცავენ. აქედან გამომდინარე, ფორმირებადი მსოფლიო წესრიგი არა მარტო არააგრესიულია, არამედ ქსელების გაძლიერების საფუძველზე უფრო ინტეგრირებული. სამთავრობო ქსელები - 21-ე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ფარგლებში წამყვან როლს ასრულებენ, ისინი მათი წარმოშობის, სტრუქტურის, მასშტაბების, ხასიათის, მონაწილეთა რაოდენობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მრავალფუნქციურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ. მოცემულ ქსელებს შეუძლიათ ფუნქციონირება არა მხოლოდ სახელმწიფოებთან ერთად, არამედ უკვე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ინსტიტუტებთანაც, როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ საფუძველზე.

არააგრესიული მსოფლიოს ბირთვს წარმოადგენენ ის ჰორიზონტალური ქსელები, რომლებიც სახელმწიფოთა ოფიციალურ პირებს შორის თანამშრომლობის შედეგად არარეგულარულად და სტიქიურად ყალიბდება. ეს ქსელები შესაძლოა არსებობდნენ როგორც დამოუკიდებლად, ასევე ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაციების ან საერთაშორისო შეხვედრების ფარგლებში, მაგალითად ისეთების, როგორიც გახლავთ დიდი შვიდეული და ა.შ. ისინი, ერთის მხრივ სახელმწიფოთა ოფიციალურ პირებსა და მეორეს მხრივ, ზეეროვნული და გლობალური ორგანიზაციების უმაღლეს წარმომადგენლებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების შედეგად ფორმირდება. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ქსელები ამ შემთხვევაში ერთიანდებიან საერთო სტრუქტურაში, რომელიც მთელ პლანეტას მოიცავს (Slaughter, 2004).

ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური, დიპლომატიური და სამეცნიერო მოღვაწის, ჰენრი კისინჯერის აზრით, არსებობს საერთაშორისო სისტემებისა და მრავალფეროვნებების ფართო სპექტრი, რომელიც არა მხოლოდ სხვადასხვა პრინციპებს, არამედ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას ეფუძნება.

თანამედროვე მსოფლიო მოწყობას კისინჯერი როგორც არასტაბილურს და მოწყვლადს აღიქვამს. მისი აზრით, შეინიშნება უთანხმოება სხვადასხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის. სანამ ეკონომიკა გლობალური გახდება, სახელმწიფოები ჯერ კიდევ რჩებიან მთავარ მოქმედ პოლიტიკურ სტრუქტურებად. საგარეო პოლიტიკის წარმოების შედეგად დგინდება საზღვრები, და ეს ხდება იმ დროს, როდესაც გლობალიზაცია ეროვნული საზღვრების გაუქმებას საჭიროებს. მსოფლიო წესრიგის სხვა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს დიდ სახელმწიფოებს შორის იმ პრობლემების განხილვის საერთო მექანიზმი, რომლებიც ერთობლივ გადაწყვეტილებას საჭიროებენ. მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ფორუმები, ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობას არ იძლევიან.

თავის მხრივ, კისინჯერი მსოფლიო მოწყობის 4 სისტემას გვთავაზობს: 1. ევროპული სისტემები, რომლებიც სუვერენულ სახელმწიფოთა ვესტფალურ მოდელს ეფუძნება, სადაც სისტემის შიგნით ყველა სუბიექტს თანაბარი სტატუსი გააჩნია; 2. ისლამური სისტემა - ეგრეთ წოდებული უმმა - საერთო მსოფლიოს წარმოდგენა ისლამური კანონების საფუძველზე; 3. ჩინური სისტემა - „შუა სამეფოზე“ ტრადიციული წარმოდგენები; 4. ამერიკული წესრიგი - გლობალური ლიდერობის მიღწევის ფარგლებში საკუთარი ინტერესების რეალიზაცია. ზემოთ აღწერილი მსოფლმხედველობები, სხვადასხვა ღირებულებათა და ისტორიული ტრადიციების ფარგლებში ხასიათდება, შესაბამისად, შეუძლებელია ჩამოყალიბებულ იქნეს ერთიანი წესრიგი, ამიტომაც, აუცილებელია გადაიდგას ნაბიჯები იმ მიმართულებით, რომ შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო საზოგადოების განვითარება მსოფლიო წესრიგის უფრო ფართო მოდელის ფარგლებში, რომელშიც ყველა ზემოაღნული სისტემების შეყვანა იქნებოდა შესაძლებელი. კისინჯერის მოსაზრების თანახმად, მსოფლიო წესრიგი საერთო წესების ფარგლებში არსებულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე, „ინდივიდის ღირსებაზე“ და ერთობლივ კონტროლზე უნდა იყოს დაფუძნებული. ეს უნდა გახდეს საერთაშორისო საზოგადოების მიზანი, თუმცა მოცემული მიზნის რეალიზაციამ რამდენიმე ეტაპი უნდა გაიაროს და თანდათანობით იქნეს განხორციელებული (Kissinger, 1994).

მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარის, ჯოზეფ ნაის აზრით, მსოფლიო მოწყობის მოდელი ძალასთანაა დაკავშირებული, რადგანაც მსოფლიო წესრიგი, ეს არის ძალთა სხვადასხვა დონეზე გადანაწილება. მეცნიერმა ერთმანეთისაგან გამოყო „ხისტი“ (hard power) და „რბილი“ (soft power) ძალები, ხოლო მოგვიანებით მან „ჭკვიანი ძალის“ (smart power) კონცეფციაც წარმოადგინა. ნაის აზრით, ძალა - ეს არის სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა, ამავე დროს, ძალის რეალიზების მეთოდები სიტუაციიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან განსხვავდება (Nye, 2004).

კერძოდ, ხისტ ძალაში“ (hard power) იგულისხმება ძალის პირდაპირი გამოყენების საშუალებები, რომელიც თავის მხრივ სამხედრო, საინფორმაციო, ეკონომიკური და ა.შ. ბერკეტების ამოქმედებას მოიცავს.

რბილი ძალა (soft power) - ეს არის ეკონომიკური, კულტურული და დიპლომატიური გავლენის აღმნიშვნელი სიდიდე. ნაის აზრით, ამ შემთხვევაში სასურველი შედეგი უნდა მიღწეულ იქნეს არა იძულების გზით, არამედ „ტყუილის“ მეშვეობით, მათ შორის დემოკრატიული და სხვა პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების გამოყენების შედეგად. ჭკვიანი ძალა (smart power) - ეს არის შესაძლებლობა ერთმანეთთან დააკავშირო ხისტი და რბილი ძალა, რომლის საბოლოო მიზანი კონკრეტული მხარისთვის (პირველ რიგში სახელმწიფოსთვის) მომგებიანი სტრატეგიის შემუშავება და საბოლოო მიზნის მიღწევა იქნება. ამ შემთხვევაში, მსოფლიო მოწყობის ერთიანი უნივერსალური ცენტრი არ არსებობს. დღევანდელ დღემდე, ქვეყნებს შორის ძალების გადანაწილება ხდება ისეთი გზით, რომ ეს ერთდროულად სამ დაფაზე ჭადრაკის თამაშს გვაგონებს. სამხედრო ასპექტი ზედა დაფაზე მდებარეობს და აქ მსოფლიო გახლავთ მონოცენტრისტული; თავის მხრივ, ეკონომიკური ძალები შუა დაფაზეა გადანაწილებული, ამიტომაც ის პოლიცენტრიულ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ზე, ევროპაზე და იაპონიაზე მოდის მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3, ხოლო ჩინეთის წარმატებები იძლევა საფუძველს ითქვას, რომ ეს ქვეყანა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთამაშედ გადაიქცევა. მესამე დაფა - ეს არის ტრანსნაციონალური კორპორაციების სამფლობელო, სადაც ძალები გაფანტულია და სხვადასხვა ცენტრების შესახებ საუბარი საფუძველს მოკლებულია. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ სერიოზულმა პოლიტიკოსმა უნდა დაინახოს, რა პროცესები მიმდინარეობს სამივე დაფაზე და ამავე დროს მოცემულ დაფებს შორის ურთიერთკავშირი გაითვალისწინოს (Nye, 2004).

რიგ ექსპერტთა აზრით, უახლოეს 10 წელიწადში, ეჭვის ქვეშ დგება პოსტამერიკული სამყაროს არსებობა, ხოლო აშშ-ის თავის მხრივ დასჭირდება ჭკვიანი სტრატეგიის ამოქმედება, სადაც ხისტი და რბილი ძალები ერთმანეთთან იქნება შეთავსებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ალიანსებსა და ქსელებს, რომლებსაც გლობალური ინფორმაციული ეპოქის ახალ კონტექსტზე სწრაფი რეაგირება ექნებათ. პირამიდა, რომელიც მკაცრ იერარქიულ სტრუქტურას მოიცავს, თანდათან დაიშლება და შედეგად განვითარდება ქსელი, რომელიც სხვადასხვა მოქმედი პირებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირში იქნებიან. ამ შემთხვევაში, ასეთი მოქმედი პირების (აქტორების) რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ საზოგადოებრივი მოძრაობები, პოლიტიკური ჯგუფები, ქვეყნის შიგნით არსებული აქტივისტთა ჯგუფები და ა.შ.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია - მოცემული თეორიის მომხრეები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო წესრიგს გააჩნია მიდრეკილება განსაკუთრებული სტაბილურობის

მიმართულებით იმ შემთხვევაში, თუ მასში არსებობს ჰეგემონი ან გაბატონებული ძალა. აღნიშნულ შემთხვევაში თეორია ამტკიცებს, რომ ჰეგემონური წესრიგის მიღწევა მხოლოდ ყველა დანარჩენზე ერთი აქტორის მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვების შემთხვევაში არის შესაძლებელი.

მსოფლიო წესრიგისა და ძალთა ბალანსის მოდელები:

ცივილიზაციის განვითარება განაპირობებს იმ ქვეყნებს შორის ურთიერთქმედებასა და თანაარსებობას, რომლებიც „სხვადასხვა წონით კატეგორიაში“ იმყოფებიან. გეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მასშტაბების მიხედვით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი სახელმწიფოების შესახებ:

სუპერსახელმწიფოები: სახელმწიფოები, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ძალაუფლება და აქვთ შესაბამისი რესურსი დაიცვან საკუთარი ინტერესები მთელი პლანეტის მასშტაბით. სუპერსახელმწიფო ფლობს სამხედრო, ეკონომიკურ და კულტურულ პოტენციალს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დაიკავოს ლიდერის პოზიცია მსოფლიო მასშტაბით და ზემოქმედება მოახდონოს სხვა დიდ სახელმწიფოებზე - რათა ამ უკანასკნელებმა გაითვალისწონონ სუპერსახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების ინტერესები. წარსულში, რომის იმპერიას და მონღოლთა იმპერიას, ხოლო მოგვიანებით აშშ-სა და საბჭოთა კავშირს გააჩნდათ პრეტენზია აეღოთ თავის თავზე სუპერსახელმწიფოს როლი. თანამედროვე პერიოდში არსებობს მხოლოდ ერთი სუპერსახელმწიფო - აშშ.

დიდი სახელმწიფოები: ესენი არიან ის სახელმწიფოები, რომლებსაც საკუთარი ინტერესები გააჩნიათ არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში, არამედ მსოფლიოს წამყვან რეგიონებში, თუმცა არა მთელი პლანეტის მასშტაბით. დიდი სახელმწიფოს პოტენციალი შესაძლებლობას იძლევა რათა კონკრეტულმა ქვეყანამ აქტიურად დაიცვას საკუთარი ინტერესები და აიძულოს სხვა სახელმწიფოები გაითვალისწინონ დიდი სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების ინტერესები.

რეგიონალური სახელმწიფობი: ესენი არიან ის სახელმწიფოები, რომელთაც გააჩნიათ გავლენა იმ რეგიონებში, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს საზღვრების სიახლოვეს მდებარეობენ. მათი პოტენციალი სიტუაციის კონტროლის საშუალებას იძლევა. თუმცა, მათი ეკონომიკურ, საინფორმაციო-კულტურულ და პოლიტიკურ სივრცეში სერიოზული მონაწილების თვალსაზრისით ეს საკმარისი არ გახლავთ.

პატარა სახელმწიფოები: ბევრი მეცნიერის აზრით, პატარაა ქვეყანა, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა, არც მსოფლიო და არც რეგიონის მასშტაბით მას არ ძალუძს საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში

გატარება, ანუ საკუთარი ეროვნული ინტერესების ძალის პოლიტიკის მეშვეობით დაცვა. ზოგიერთი მკვლევარის პოზიციის მიხედვით, "პატარად" იგულისხმება ისეთი სახელმწიფო, რომლის საგარეო ძლიერებაც თუნდაც ერთ-ერთი მისი მეზობელის ძლიერებას მნიშვნელოვნად ჩამორჩება (რონდელი, 2003).

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა პატარა სახელმწიფოებია, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, სოციალ-ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული და ა.შ. განვითარების თვალსაზრისით.

სახელმწიფოების მხრიდან ნებისმიერ სივრცეზე კონტროლის მოპოვების აუცილებლობა განაპირობებს გარკვეულ ბალანსს მსოფლიოში, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფარგლებში მსოფლიო სტაბილურობისა და მსოფლიო წესრიგის მიღწევას და საერთაშორისო ეკონომიკური კონტაქტების დამყარებას. აღნიშნულს გეოპოლიტიკურ სივრცეში ძალთა ბალანსი ეწოდება. ძალთა ბალანსი შეიძლება განხილულ იქნეს ერთპოლარულ საფუძველზე (ერთი ჰეგემონური სახელმწიფო), ბიპოლარულ საფუძველზე (ორი სუპერსახელმწიფო), და მრავალპოლარულ საფუძველზე (ძალაუფლებისა და გავლენის რამდენიმე ცენტრი, რომლებიც ძალისა და ბალანსის გარანტიებს იძლევა) (ჩიტაძე, 2016).

6. 21-ე საუკუნეში მსოფლიო პოლიტიკური მოწყობის შესაძლო მოდელები

21-ე საუკუნის მსოფლიო მოწყობის კონფიგურაცია არც თუ ისე თვალსაჩინოა, როგორც ის ჩვენ გვეჩვენება, რადგანაც ბევრი კონვერტირებადი ფაქტორების მრავალი მიმართულებით გააქტიურება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მრავალ სცენარებს წარმოშობს. გლობალური პოლიტიკური წესრიგის ამა თუ იმ ვარიანტის ჩამოყალიბება დიდწილადაა დამოკიდებული იმ ფაქტორთა ერთობლიობაზე, რომლებიც შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ.

განიხილოთ რამდენიმე მოდელი:

- აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონიის მოდელი

მოცემული მოდელი ეფუძნება აშშ-ის დომინირებას ეკონომიკურ, ფინანსურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო და კომერციულ სფეროებში. აღნიშნული ჰეგემონია დაკავშირებულია აშშ-ის უპირატესობასთან საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების ფორმულირების სფეროში, ამ ქვეყნის იდეოლოგიური პრინციპების მიმზიდველობასთან, ამერიკული რესურსების სწორედ მობილიზაციასა და პოტენციური მტრების დასუსტების

შესაძლებლობებთან. აშშ-ის გლობალური ჰეგემონიის მეოთხედი ან ნახევარი საუკუნის განმავლობაში გაგრძელებაა შესაძლებელი. აღნიშნულის საფუძველს იძლევა დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოზიციები, რომლებსაც აშშ-ის გლობალურ ლიდერობაზე პრეტენზიები არ გააჩნიათ. ევროკავშირს დღვანდელ დღემდე არ გააჩნია ერთიანი გეოპოლიტიკური მიზნები, ხოლო ნატო-ს ინსტიტუტები ნაწილობრივ აშშ-ის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. გარდა ამისა, აშშ-ის გლობალური გაძლიერება ხელს არ უშლის ჩინეთს, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო დაკავებულია შიდაპოლიტიკური პრობლემებით და აღნიშნული მიზეზის გამო დაინტერესებულია ამერიკულ ინვესტიციებში, ტექნოლოგიურ განახლებაში, ამერიკის - როგორც გასაღების ბაზარში და ა.შ.

- მსოფლიოს ბიპოლარული მოდელი

მსოფლიოში ბიპოლარული სტრუქტურის მიხედვით არსებობს გლობალური გავლენის რამდენიმე ცენტრი, სადაც ორ ან მეტ ლიდერ ქვეყანას შორის დაპირისპირებას აქვს ადგილი. აშშ-ის გლობალური ჰეგემონია ბალანსირდება ახალი გლობალური მოთამაშეებით, კერძოდ კონკურენტების - ჩინეთისა და ევროკავშირის სახით. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აშშ-სთან დაპირისპირების მიმართულებით ცალკეულ ქვეყანაში ძალები და რესურსები არ გახლავთ საკმარისი, თუმცა ამ შემთხვევაში აშშ-ის ჰეგემონიას წინააღმდეგობა შესაძლებელია სახელმწიფოთა კოალიციამ გაუწიოს. კერძოდ, გაფართოებული ევროკავშირის (აღნიშნული ორგანიზაციიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის მიუხედავად) ეკონომიკა თითქმის უტოლდება აშშ-ის ეკონომიკურ პოტენციალს. მაგალითად, ევროკავშირის წილი მსოფლიო შიდა პროდუქტში შეადგენს 19,8%, ხოლო აშშ-ის 20,4%. ასევე, აშშ-ისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ჩინეთი. სხვადასხვა პროგნოზის მიხედვით, 2025 წლის ბოლოსთვის ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ შესაძლებელია შეადგინოს დაახლოებით 20 ტრილიონი დოლარი, შესაბამისად, აღნიშნული მონაცემებით ჩინეთი აშშ-ს მნიშვნელოვნად მიუახლოვდება (ჩიტაძე, 2024).

- მსოფლიოს მრავალპოლარული მოდელი

აღნიშნული მოდელი ძალთა ბალანსზეა დაფუძნებული. ასეთი გეოპოლიტიკური სტრუქტურა დაკავშირებულია იმასთან, რომ აშშ-ის ჰეგემონიის ფაზა არ შეიძლება იყოს დაუსრულებელი, რაც მისი რესურსების გარკვეული შეზღუდულობითაა განპირობებული. მრავალპოლარობა შესაძლებელია ფორმულირებულ იქნეს ევროპაში ევროკავშირსა და რუსეთს შორის, ხოლო აზიაში ჩინეთს, იაპონიას და ინდოეთს შორის რეგიონული ჰეგემონობისათვის ბრძოლის ფარგლებში. თითოეულ ცენტრს გავლენის სფეროს შექმნის მიმართულებით შესაბამისი მისწრაფება ექნება. ძირითადი პროცესი, რომელიც მოცემულ ფარგლებში მიმდინარეობს, სამი ბლოკის ფორმირებასთანაა დაკავშირებული: ევროკავშირი - ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NAFTA) - აღმოსავლეთ აზია.

რუსეთს აღნიშნული მიმართულებით გავლენის მოპოვების მხოლოდ სამხედრო რესურსები გააჩნია, თუმცა ეს ქვეყანა ჰეგემონიის მოსაპოვებლად არ ფლობს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ რესურსებს. ამავე დროს, უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიული ომის შედეგად რუსეთის სამხედრო რესურსებიც მეტად შეიზღუდა.

- პოლიცივილიზაციური მოდელი

აღნიშნული მოდელის გამოჩენა დაკავშირებულია შვიდი ცივილიზაციის პარალელურ არსებობასთან. ეს ცივილიზაციებია - დასავლური, ლათინოამერიკული, ისლამური, სლავურ-მართლმადიდებლური, ჩინური (კონფუციანური), იაპონური (სინთოისტური), აფრიკული. 21-ე საუკუნის გლობალური კონფლიქტები მოცემული ცივილიზაციების კონტექსტში იქნება განვითარებული, რადგანაც თითოეული მხარე კონკურენტზე გავლენის მოპოვების მიმართულებით შესაბამისი რესურსების მობილიზაციას მოახდენს.

7. როგორი მსოფლიო წესრიგი არსებობს თანამედროვე ეტაპზე?

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ ევროპული და გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურა მნიშვნელოვნად შეცვალა. შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ რა გავლენას ახდენს და მოახდენს უკრაინაში ომი სხვადასხვა რეგიონზე (ევროპა, შავი ზღვის რეგიონი, კავკასია, ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთი და ა.შ.) და მთლიანად მსოფლიოზე?

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიული ომი და აშშ-სა და ჩინეთს შორის მზარდი მეტოქეობა გლობალური პოლიტიკური სტრუქტურის მომავალზე უმნიშვნელოვანეს გავლენას მოახდენს. "ცივი ომის" დასრულების შემდეგ დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს იმედი დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და მრავალმხრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემის შესახებ, უკვე მრავალი წელი სრულიად არარეალურად გამოიყურება.

შესაბამისად, მიმდინარე ტენდენციები და ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცვლილებები გეოპოლიტიკური კონკურენციის შემდგომ გაძლიერებაზე, ეკონომიკური პროტექციონიზმისა და ფრაგმენტაციის ზრდაზე და საერთაშორისო წესრიგის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე მიუთითებს. თუმცა, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და ტრანსნაციონალური კავშირები, სავარაუდოდ, საკმარისად ძლიერი დარჩება იმისათვის, რომ ანარქია და საერთაშორისო თანამშრომლობის შეჩერება აცილებულ იქნეს. ამის მიუხედავად, არსებობს დიდი რისკი, რომ სხვადასხვა გლობალური გამოწვევების წინაშე (მაგ: კლიმატის ცვლილება, გლობალური სიღარიბის აღმოფხვრა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა,

საერთაშორისო ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული და ა.შ.) ერთობლივი ბრძოლის შესაძლებლობა დიდი რისკის ქვეშ იმყოფება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დაისვას კითხვა, თუ (როგორი მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სისტემა არსებობს თანამედროვე მსოფლიოში?

შესაბამისად, კიდევ ერთხელ განხილული და გაანალიზებული უნდა იქნეს თემა, რომელიც ეხება საერთაშორისო სისტემის ძირითად პრინციპებს, თუ რა სახის საერთაშორისო სისტემები (ძალათა ბალანსი - მრავალპოლარული სისტემა, რბილი და ხისტი ბიპოლარული სისტემა, უნიპოლარული სისტემა) არსებობდა და შეიძლება არსებობდეს დღეს და ასევე თუ რა სახის მსოფლიო წესრიგი (ვესტფალიის, ვენის, ვერსალ-ვაშინგტონის და იალტა-პოტსდამის, პაქს-ამერიკანა) არსებობდა და შეიძლება არსებობდეს დღევანდელ ეტაპზე რუსეთ-უკრაინის ომის შედეგების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, ღრმად უნდა გაანალიზდეს რუსეთ-უკრაინის ომის ძირითადი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული შედეგები, შესაბამისად, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, საინფორმაციო და ა.შ. თვალსაზრისით.

დღევანდელი ვითარების შეფასებისას საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო გახლავთ ოთხ-პოლარული, თუმცა აშშ-ში დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევამდე დასავლური დემოკრატიული საზოგადოება და ნატო იყვნენ ერთიანი უკრაინისადმი ერთობლივი სოლიდარობისა და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ და შეიძლება ითქვას რომ არსებობდა ერთი პოლუსი - დემოკრატიული დასავლეთი, თუმცა, უკვე 2025 წლის დასაწყისიდან, როდესაც აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ევროკავშირის გააკრიტიკა იმის გამო, რომ ევროპა არასამართლიან სავაჭრო ომს აწარმოებდა აშშ-ის წინააღმდეგ და 50%-იანი სავაჭრო ტარიფების დაწესებით დაიმუქრა, შეიძლება ითქვას რომ აშშ-ის და ევროკავშირის პოზიციები მნიშვნელოვნად გაიყო. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, როდესაც დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ განაცხადა რომ რუსეთ-უკრაინის ომი პირველ რიგში ევროპის პრობლემას წარმოადგენდა და აშშ უკრაინას იარაღის მიწოდებას ან შეუწყვეტდა ან კი მის მიწოდებას მნიშვნელოვნად შეამცირებდა. მეორეს მხრივ, ტრამპის მიერ გატარებული პოლიტიკის გათვალისწინებით, ევროკავშირმა თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გააქტიურების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რაც პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ ევროკავშირი აპირებს თავდაცვის ფარგლებში 800-მილიარდიანი ფონდის შექმნას, რის შედეგად არსებობს იმის დიდი შესაძლებლობა, რომ ევროკავშირი მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებასთან ერთად მნიშვნელოვან სამხედრო ძალად მოგვევლინოს, რაც ევროკავშირის აშშ-ზე სამხედრო სფეროში დამოკიდებულებას საფუძვლიანად შეამცირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ვისაუბროთ ორი მნიშვნელოვანი პოლუსის არსებობა, სადაც ერთ-ერთი გეოპოლიტიკური პოლუსი იქნება აშშ, ხოლო მეორე ევროკავშირი. თუმცა ორ მხარეს შორის ბევრი საერთო - რომელიც უკავშირდება საერთო დემოკრატიულ ღირებულებებს, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას და ა.შ. ჯერ კიდევ არსებობს და დიდი ხნის განმავლობაში იარსებებს.

მესამე ძალად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ისეთი ანტიდასავლური კავშირი, როგორიც გახლავთ ბრიქსი (BRICS), რომლის წევრებიც არიან ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა და რომელიც 2024 წლის იანვრიდან ახალი წევრების (ირანი, ეთიოპია, ეგვიპტე, ინდონეზია, გაერთიანებულ არაბთა საემიროები) მიღების შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა და რომლის მოსახლეობა დაახლოებით 3,8 მილიარდია და რომლის წილი მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 32%-ს შეადგენს ("დიდი შვიდეულის" ქვეყნების საერთო მშ მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 31%-ს შეადგენს) (Chitadze, 2024).

მეოთხე დაჯგუფებას წარმოადგენს პოლიტიკურად მეტ-ნაკლებად ნეიტრალური ქვეყნებისგან შემდგარი მიუმხრომლობის მოძრაობა, რომელშიც თანამედროვე ეტაპზე 120-ზე მეტი ქვეყანაა გაწევრიანებული.

8. დასკვნა

საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში არსებული ახალი გამოწვევები

ნაშრომზე მუშაობის დროს ჩატარებული კვლევის ფარგლებში განსაზღვრულ იქნა საერთაშორისო სისტემის და მსოფლიო წესრიგის პრინციპები და განხორციელდა იმის დეტალური ანალიზი, თუ რა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის და მსოფლიო წესრიგის ძირითად მახასიათებლებს და რომელი ძირითადი სისტემები არსებობს და რა ტიპის მსოფლიო წესრიგი არსებობდა 1648 წელს ვესტფალიის ზავის ხელმოწერიდან თანამედროვე დრომდე.

ნაშრომში წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა სისტემისა და მსოფლიო წესრიგის შედარებითი ანალიზი და ახსნილ იქნა, თუ რომელია ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი და მრავალპოლუსიანი სამყაროს ძირითადი მახასიათებელები და რა განსხვავებები არსებობს მათ შორის.

კვლევის შედეგად განხილულ და გაანალიზებულ იქნა 21-ე საუკუნეში არსებული პოლიტიკური მოწყობის შესაძლო მოდელები და სიახლის სახით წარმოდგენილ იქნა მოსაზრება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის შესახებ.

შესაბამისად, კვლევის ფარგლებში პასუხი გაეცა საკვლევ კითხვებს. კერძოდ, პირველ კითხვაზე: საერთაშორისო ურთიერთობების და მსოფლიო წესრიგის რომელი ძირითადი სისტემები და ფორმებია ცნობილი დღევანდელი საზოგადოებისათვის? აღინიშნა, რომ არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების ერთპოლუსიანი (უნიპოლარული), ორპოლუსიანი (ბიპოლარული) და მრავალპოლარული (დაფუძნებული ძალთა ბალანსზე) სისტემები, ხოლო მსოფლიო წესრიგის საკითხის განხილვისას გაანალიზებულ იქნა ვესტფალიის, ვენის, ვერსალ-ვაშინგტონის და იალტა-პოტსდამის სისტემები, ასევე თანამედროვე სისტემების შესაძლო ვერსიები.

რაც შეეხება მეორე საკვლევ კითხვას: როგორია თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა და რა ფაქტორებმა განაპირობა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება? როგორც აღინიშნა, სიახლის სახით წარმოდგენილ იქნა მოსაზრება თანამედროვე ეტაპზე ოთხპოლუსიანი მსოფლიოს არსებობის შესახებ, სადაც ერთ ცენტრად განისაზღვრა აშშ, მეორე ცენტრად ევროკავშირი, მესამე ცენტრად ბრიქსის წევრი სახელმწიფოები და მეოთხე ცენტრად მიუმხრომლობის მოძრაობის წევრი ქვეყნები.

ბიბლიოგრაფია

1. რონდელი, ა. 2003. საერთაშორისო ურთიერთობები. ნეკერი
2. ჩიტაძე, ნ. 2016. პოლიტოლოგია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
3. ჩიტაძე, 2011. გეოპოლიტიკა. უნივერსალი
4. Anderson, S. Cavanagh, J. Lee, T. 2005. Field Guide to The Global Economy. New Press. Retrieved from: www.thenewpress.org
5. Barber B. R. 1992. Jihad vs. McWorld. The two axial principles of our age—tribalism and globalism—clash at every point except one: they may both be threatening to democracy. The Atlantic. Retrieved from: www.theatlantic.com
6. Brzezinski, Z. 1997. The Grand Chessboard: American Primacy And Its Geostrategic Imperatives. Published by Basic Books, A Member of the Perseus Books Group.
7. Bull, H. 1977. The Anarchical Society: A Study of Order in World Politics. Columbia University Press. Retrieved from: www.slantchev.ucsd.edu
8. Chitadze, N. 2024. World Politics. International Black Sea University
9. Fukuyama F. 1996. The End of History and the Last Man. Free Press
10. Holsti, 2004. Taming the Sovereigns: Institutional Change in International Politics. Cambridge Studies in International Relations. Retrieevd from: www.cambridge.org
11. Huntington S.P. 1989. No Exit: The Errors of Endism// The National Interest. V.17. No 3 (Fall).
12. Huntington, S. 1996. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. Simon & Schuster
13. IGI Global, 2022. World Politics and the Challenges for International Security. Information Science Reference. Pennsylvania, USA. Retrieved from: www.igi-global.com
14. IGI Global, 2023. The Russia-Ukraine War and Its Consequences on the Geopolitics of the World.. Information Science Reference. Pennsylvania, USA. Retrieved from: www.igi-global.com
15. Kegley, C. W. Raymond, G. 2002. Exorcising the Ghost of Westphalia. Pearson.
16. Keohane, R. Nye, J. 1977. Power and Interdependence. World Politics in Transition. Boston. Springer. Retrieved from: www. slantchev.ucsd.edu
17. Keohane, R. Nye, J. 2009. Transnational Relations and World Politics: A Conclusion. Cambridge University Press. Retrieved from: www.cambridge.org
18. Kissinger, H. 1994. History of Diplomacy. Simon & Schuster
19. Lebedeva, N. 2007 World Politics. Aspects Press
20. Nye. J. 2004. Power in the Global Information Age: From Realism to Globalization. Routledge

21. Nye, J. 2002. The paradox of American power: Why the World`s Only Superpower Can`t Go it Alone. Routledge. Retrieved from: www.wcfia.harvard.edu
22. Robertson, Roland. 2012. Globalisation or glocalisation? The Journal of International Communication. Volume 18, 2012 - Issue 2 Retrieved from: www.tandfonline.com
23. Rosenau, J. 1997. Along the Domestic-Foreign Frontier: Exploring Governance in a Turbulent World. Cambridge University Press. Retrieved from: www.cambridge.org
24. Rosenau, J. 1990. Turbulence in World Politics: A Theory of Change and Continuity. Princeton University Press.
25. Rotfeld. 2001. The New Security Dimensions: Europe after the NATO and EU Enlargements. SIPRI. Retrieved from: www.sipri.org
26. Slaughter, Anne-Marie. 2004. A New World Order. Princeton: Princeton University Press. Retrieved from: press.princeton.edu
27. Strange, S. 1996. The Retreat of the State: The Diffusion of Power in the World Economy. Cambridge University Press. Retrieved from: api.pageplace.de
28. Toffler, 1995. Creating a New Civilization. Turner Pub. Retrieved from: archive.org
29. Wallerstein, I. 2001. The End of the World as We Know It: Social Science for the Twenty-First Century Paperback –Univ Of Minnesota Press; First edition. Retrieved from: www.upress.umn.edu
30. Waltz, K. N. 2000. Man, the State, and War: A Theoretical Analysis Revised Edition. Oxford University Press. Retrieved from: is.muni.cz
31. Wolfers. 1967. Discord and Collaboration Essays on International Politics Hardcover. The John Hopkins Press. Retrieved from: archive.org